თბილისის ღია უნივერსიტეტი

“ლიზინგის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება”

ტატა ეჯიბია

ნაშრომი წარმოდგენილია მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი, 0156

ივლისი 2019

სარჩევი

Contents

Contents 2

რეზიუმე 3

Resume 6

თავი 1. ლიზინგის ისტორიული განვითარება და მისი არსი 10

1.1 ლიზინგის წარმოშობა და განვითარება 10

1.2ლიზინგის არსი, სახეები და ფორმები 14

თავი 2. ლიზინგის ხელშეკრულებაში მონაწილე სუბიექტები და ხელშეკრულების პრინციპები 22

2.1 ლიზინგის ფუნქციები და ლიზინგის სუბიექტები 22

2.2 ლიზინგის ხელშეკრულებაში კეთილსინდისიერების პრინციპი და სამართლებრივი სტატუსი 29

თავი 3. ლიზინგის ხელშეკრულება რეგულირება საზღვარგარეთის ქვეყნებში და საქართველოში 36

3.1 ლიზინგის ხელშეკრულების რეგულირების თავისებურებანი საზღვარგარეთის ქვეყნებში 36

3.2 ლიზინგის ხელშეკრულებს რეგულირება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით..... 42

3.3 სალიზინგო საქმიანობის ხელშეწყობის შესახებ საქართველოს კანონის მიმოხილვა 52

დასკვნა 55

გამოყენებული ლიტერატურა 56

რეზიუმე

ლიზინგი თანამედროვე ეკონომიკის მონაპოვრად ითვლება, მაგრამ სინამდვილეში მისი ფესვები უხსოვარი დროიდან მოდის, ადამიანები მას იცნობდნენ სხვადასხვა სახელწოდებით, მათ შორის ლიზინგი მოიხსენიებოდა არენდის და იჯარის სახელწოდებითაც.

თანამედროვე ლიზინგის სამშობლოდ ამერიკის შეერთებული შტატები ითვლება, საიდანაც ლიზინგი ევროპაში გავრცელდა. ლიზინგი თანამედროვე სახით, რუსეთისთვის და საქართველოსთვისაც ცნობილი გახდა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ წლებში, მე-20 საუკუნის 70-იანი წლებიდან კი შედარებით ფართოდ გავრცელდა. ამ პერიოდში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში უამრავი , ძალიან წარმატებული სალიზინგო კომპანია ფუნქციონირებდა.

ლიზინგის შესწავლისას ძალიან მნიშვნელოვანია მისი შინაარსობრივი და სტრუქტურული შესწავლა, რადგან ლიზინგის საკანონმდებლო რეგულირება მრავალ სფეროს მოიცავს.

ლიზინგი არ უნდა მივაკუთვნოთ არენდას, არც საქონლის განვადებით ვაჭრობას. რადგან, მიუხედავად იმისა, რომ ლიზინგიც არენდის მსგავსად, ქონების დროებით ფასიან სარგებლობაში გადაცემაა, ლიზინგს მაინც აქვს მთელი რიგი თავისებურებანი, რაც მას სხვა მსგავსი ინსტიტუტებისაგან განასხვავებს.

როგორც წესი ლიზინგის გამცემი ქონების არც მომწოდებლის არჩევაზეა პასუხისმგებელი და არც მის მიერ მიცემული ქონების ვარგისიანობაზე. არენდის გამცემი ამღებს, არენდით აძლევს ასევე იმ ქონებას, რასაც ის რეალურად ფლობს, ლიზინგის შემთხვევაში კი ლიზინგის მიმცემი ლიზინგის მიმღების შეკვეთით შეისყიდის განსაზღვრულ ქონებას და მითითებულ საფასურად გადასცემს მას გარკვეული დროით სარგებლობაში.

რაც შეეხება ლიზინგის ხელშეკრულების მსგავსებას განვადებით ნასყიდობასთან, აღსანიშნავია, რომ სალიზინგო ხელშეკრულება არ ავალდებულებს ლიზინგის

მიმღებს შეისყიდოს ქონება, პირიქით მას უფლება აქვს ხელშეკრულების დასრულებისას დააბრუნოს იგი. განვადებით შესყიდვის დროს ქონება ახალ მესაკუთრეს გადაეცემა საკუთრებაში.

ლიზინგი არის ეკონომიკურ - სამართლებრივი ურთიერთობების კომპლექსი, სადაც ურთიერთობის საფუძველია ლიზინგის ობიექტი და ლიზინგის სუბიექტები. მათ შორის ყალიბდება სამართლებრივი, ტექნიკურ- ორგანიზაციულ და საფინანსო-კომერციული ურთიერთობა.

ლიზინგის ხელშეკრულება, უდავოდ მნიშვნელოვან ფუნდამენტს წარმოადგენს, ეკონომიკური საქმიანობის სფეროში მოღვაწე პირთა წრისათვის, და მისი შესწავლა უდავოდ მნიშვნელოვან კრიტერიუმად უნდა იქნეს მიღებული, რათა მაქსიმალურად იქნეს მიღებული ის სიკეთეები, რისი მიღებაც აღნიშნული სფეროდან პოტენციურად არის შესაძლებელი.

შესაძლებელია კონკრეტული ქვეყნების მიკუთვნება კონკრეტული ჯგუფისათვის. მაგალითად ლიზინგის სისტემური ბაზის რეგულირების არსებობის შემთხვევაში შესაძლებელია მსოფლიოს ქვეყნების ორ ნაწილად დაყოფა, კერძოდ: ქვეყნები, რომლებიც ემხრობიან ლიზინგის მიმღებისათვის იურიდიული მესაკუთრის სტატუსის მინიჭებას ანუ რომანული სამართლის ქვეყნები, და ქვეყნები რომლებიც ლიზინგმიმღებისათვის, ემხრობიან ეკონომიკური მესაკუთრის სტატუსის მინიჭებას, ასეთ ქვეყნებში ლიზინგის მარეგულირებელი სპეციალური კანონმდებლობა არ აქვთ. თუმცა ლიზინგის ხელშეკრულების რეგულირება ხდება სამოქალაქო ან/და სავაჭრო სამართალით. ხოლო , რაც შეეხება ჩვენს მიერ ზემოთ აღნიშნულ რომანული სამართლის ქვეყნებს იქ აუცილებელია მიეთითოს, რომ წინასწარ შეთანხმებულ ფასად სალიზინგო ხელშეკრულების გასვლის შემდეგ ლიზინგის ობიექტი შეიძლება გაიყიდოს. ანგლოსაქსური სამართლის მქონე ქვეყნები თვლიან, რომ ლიზინგის შინაარსი მხოლოდ სალიზინგო ობიექტის იჯარა იქნება, რაც გაყიდვით გამოისახება. ანგლოსაქსური სამართლის

ქვეყნების სალიზინგო კანონმდებლობა ძირითადად ეფუძნება ლიზინგით გადაცემული ქონების ეკონომიკური ფლობის პრინციპს.

როგორც უკვე ავღნიშნეთ, სალიზინგო საქმიანობის რეგულირება სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვანაირია. იმ ქვეყნებში, რომლებშიც თავდაპირველად ლიზინგი წარმოადგენდა ბანკის ფუნქციას მასზე სახელმწიფო კონტროლს ახორციელებდა ცენტრალური ბანკი. გერმანიაში და დიდ ბრიტანეთში ცენტრალური ბანკი აკონტროლებს და არეგულირებს მხოლოდ იმ სალიზინგო კომპანიების საქმიანობას, რომლებიც წარმოადგენენ ბანკების ფილიალებს. დამოუკიდებელი სალიზინგო კომპანიების რეგულირება მის კომპეტენციაში არ შედის. მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს აშშ-ში, სააფრანგეთსა და იტალიაში ლიზინგის სპეციალურ იურიდიულ პროცედურას.

რაც შეეხება საქართველოს, აქ გვაქვს ლიზინგის დამარეგულირებელი სპეციალური კანონმდებლობა.

Resume

Leasing is considered to be a discovery of the modern economy,but in reality its roots originated in ancient times,people called it variously,including it was known as rent and lease.

The USA is considered to be the birthplace of modern leasing, from where leasing spread throuhgout Europe.Georgia and Russia learned about modern leasing after the seconed World War. Since the 70s of the 20th century ,leasing has been relatively overspreading.During this period numerous successful leasing companies were operating in various countries all over the world.

When studying leasing,it is specially importent to study its content and structure,as legislative regulation of leasing incqludes many areas.

Leasing should neither be attributed to renting,nor to the sale of goods by installments,as,quite apart from the fact thet leasing, in the assignment for temperory use for a fee similar to rent,leasing has a number of features that distinguishes it from other similar institutions.

As a rule,the lessor is neither responsible for the selection of the supplier,nor for the supplier, nor for the suitability of the property transferred to him/her.And the landlord transfers to the lessee the property actually owned by him,in the case of leasing,the lessor purchases certain property on behalf of the leasing recipient and delivers possession at the indicated price for a definite period.

As for the similarity of leasing contracts and installment trade contracts,it should be noted that the leasing contract does not oblige the leasing recipient to buy property,on the contrary,he has the right to return it at the and of the contract period.When buying and selling by installements,the property is transfered to the ownership of the new owner.

Leasing contract is undoubtedly an important foundation for people engaged in economic activities,and its study should be an undoubtedly important criterionin order to maximize the benefits that can potentially be obtained from this sphere.

We can attribute specific countries to specific groups.For example,in case of existence of the regulation of the leasing system base, countries can be divided into two parts;counties that are supporters of assinging the legal owner status to a leasing recipient, i.e civil law countries that are supporters of assigning the status of an aconomic owner to a leasing recipient.In such countries there is no special legislation regulating leasing,although leasing contract are regulated by mentioned by us,it is worthwhile to say that after the expiration of the lease contract, the leased object can be sold at a preagreed price.Countries with common law believe that the essense of leasing is concluded only in lease of the leasing object shown up in the sale. Leasing legislation ios mainly based on the principle of economic ownershiper of the leased property.

As we have already noted,the regulation of leasing activity is different in different countries.In those counties,where leasing was originally a banking function,the state control over it was exercised by the cantral bank. In Germany and in the UK,the cental banks controland regulate only the activites of those leasing companies is beyond their competence.

Current legislation takes into account special legal producers of leasing in the USA, france and Italy.

As far as Georgia,we have special legislation regulating leasing.

შესავალი

თემის აქტუალობა: ლიზინგის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება, ძალიან მნიშვნელოვანი და აქტუალური საკითხია, რადგან თანამედროვე პირობებში მსოფლიო მაშტაბით სულ უფრო მეტი ლიზინგის ხელშეკრულება იდება. მართალია საქართველო ლიზინგის განვითარების კუთხით რამდენადმე ჩამორჩება განვითარებულ მსოფლიოს, მაგრამ ბოლო წლებში ჩვენთანაც გაიზარდა ინტერესი ლიზინგის ხელშეკრულებისადმი.

განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით, ნაკლები განვითარება იმასაც მიანიშნებს, რომ საკითხი ჯერ ბოლომდე არ არის შესწავლილი და გაანალიზებული ქართულ სინამდვილეში.

ზემოთ აღნიშნული ორი ფაქტორის გამო, კერძოდ ლიზინგისადმი გაზრდილი ინტესი და საზღვარგარეთის განვითარებულ ქვეყნებთან შორის ლიზინგთან დაკავშირებული საკითხების ნაკლები განვითარება, ვფიქრობ ადვილად განაპირობებს, ჩვენს მიერ განსახილველი თემის აქტუალობას.

კვლევის საგანი: ნაშრომის კვლევის საგანია ლიზინგის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება.

კვლევის ობიექტი: ჩვენს მიერ განსახილველი ნაშრომის კვლევის ობიექტია ლიზინგის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით არსებული საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, საქართველოს კანონი სალიზინგო საქმიანობის ხელშეწყობის შესახებ და სასამართლო პრაქტიკა.

კვლევის მიზანი: ნაშრომის კვლევის მიზანია საზღვარგარეთის ქვეყნების სამართალში, ასევე ქართულ სამართალსა და სამეცნიერო ლიტერატურაში, ასევე სასამართლო პრაქტიკაში საკვლევ თემატიკასთან დაკავშირებული მიდგომების ანალიზი და ნორმების შემუშავება, საკვლევ თემატიკაში ხარვეზების სრულყოფის მიზნით.

კვლევის ამოცანა: მოცემული მიზნებიდან გამომდინარე დასახულია შემდეგი ამოცანები:

- ლიზინგის ხელშეკრულების დახასიათება.
- ლიზინგის ხელშეკრულების იურიდიული ბუნების წარმოჩენა.
- ლიზინგთან და ლიზინგის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული საკითხების საფუძვლიანი შესწავლა და ანალიზი.

კვლევის მეთოდები: ნაშრომზე მუშობისას გამოვიყენეთ შედარებით სამართლებრივი კვლევის მეთოდი, ლოგიკური ანალიზის მეთოდი და ისტორიზმის მეთოდი.

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა: ჩვენს მიერ განსახილველი ნაშრომი შედგება სამი თავის, შვიდი პარაგრაფის, შესავალის და დასკვნისაგან.

თავი 1. ლიზინგის ისტორიული განვითარება და მისი არსი

1.1 ლიზინგის წარმოშობა და განვითარება

ლიზინგი თანამედროვე ეკონომიკის მონაპოვრად ითვლება, მაგრამ სინამდვილეში მისი ფესვები უხსოვარი დროიდან მოდის, ადამიანები მას იცნობდნენ სხვადასხვა სახელწოდებით, მათ შორის ლიზინგი მოიხსენიებოდა არენდის და იჯარის სახელწოდებითაც.

ლიზინგის უხსოვარ დროსთან დაკავშირების საშუალებას იძლევა შუმერების ქალაქ ურში აღმოჩენილი თიხის ფირფიტები, რომელბის ადასტურებს იმას, რომ ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე 2000 წელს წინ შუმერები იჯარით გასცემდნენ მიწას, პირუტყვს, სასოფლოსამეურნეო იარაღს, და სხვა.[1] სხვადასხვა ნივთების იჯარით გაცემის პრაქტიკა ცნობილი იყო მსოფლიოს უამრავ ქვეყანაში, მაგალითად ძველი ფინიკიელები სავაჭრო გემებს და გემის ეკიპაჯსაც კი აქირავებდნენ.ასევე, გემების გაქირავების პრაქტიკა დანერგილი იყო ნორმანდიასა და ნორვეგიაში, სადაც გემებს ძირითადად საომარი მოქმედებებისათვის აქირავებდნენ.

რომის სამართალიც იცნობდა საკუთრების უფლების გარეშე ქონების გამოყენების შესაძლებლობას და მისით წარმოშობილ ურთიერთობებს. ამაზეა საუბარი, რომის იმპერატორ იუსტინიან I-ის მიერ შედგენილ ცნობილ ინსტიტუციებში. [2]

აღსანიშნავია, რომ ვენახის გაქირავების ელემენტები ბიბლიაშიცაა აღწერილი.

მე-19 საუკუნის დამდეგს, როდესაც დაიწყო სარკინიგზო ტრანსპორტის და სამრეწველო წარმოების განვითარდა, განსაკუთრებით პოპულარული გახდა

---

[1] Балтус П., Майджер Б. Школа европейского бизнеса, ,,Лизинг-Ревю", 2001, №1, с. 23.

[2] ნადარეიშვილი, გ. (2002). სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია. თბილისი: გამომცემლობა “ბონა კაუზა”.გვ.301

ლიზინგი, მთელი მსოფლიოს მაშტაბით მილიონობით სალიზინგო ხელშეკრულება იდებოდა.

ამ პერიოდში დაფუძნდნენ თანამედროვე სახის პირველი სალიზინგო კომპანიებიც.

მსოფლიოში პირველი სალიზინგო კომპანია იყო „ბირმინგემ ვაგონ კომპანი“, რომელიც 1855 წელს დაფუძნდა. კომპანიამ ქვანახშირის გადასაზიდი რკინიგზის ვაგონების ლიზინგი განავითარა, შემდეგ კი მანქანა-დანადგარების ლიზინგით გაცემა დაიწყო.[3]

თანამედროვე ლიზინგის სამშობლოდ ამერიკის შეერთებული შტატები ითვლება, საიდანაც ლიზინგი ევროპაში გავრცელდა. ამერიკულმა სატელეფონო კომპანიამ 1877 წელს გადაწყვიტა არ გაეყიდა ტელეფონის აპარატები, არამედ გაეცა ისინი დროებით სარგებლობაში გარკვეული საზღაურის ფასად. ამან მას გაუზარდა პროდუქციის გასაღების მოცულობა და ასევე მისცა საშუალება ინტელექტუალურ საკუთრებაზე უკეთ დაეცვა თავისი უფლებები. [4]

ამის შემდეგ, ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო მინისტრმა 1892 წელს გამოცემული კანონით მიიღო ნებართვა, არმიის კუთვნილი ქონების სხვა ქვეყნებისათვის მიქირავების შესახებ. ეს შეიძლება ჩაითვალოს ლიზინგის ხელშეკრულების მოწესრიგებად სახელმწიფოთაშორის დონეზე.

აქვე შევეხებით, რუსეთს, სადაც ქონების და მიწების იჯარა მე-15 საუკუნიდანაა ცნობილი, განვითარების უმაღლეს საფეხურს კი 1861 წლის რეფორმის შემდეგ მიაღწია. ხშირად იჯარით აღებული მიწა მემკვიდრეობითაც კი გადადიოდა.

---

[3] https://www.warwickshirerailways.com/misc/brc&wc_works.htm

[4] ხ. ბარბაქაძე „ლიზინგი - საგადასახადო პროცესის ოპტიმიზაციის საშუალება“. http://eprints.tsu.ge/1212/1/Leasing%20-%20The%20Possibility%20for%20Optimization%20of%20Tax%20Process.pdf

1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ საბჭოთა ხელისუფლებამ მიწის შესახებ დეკრეტით აკრძალა, მიწის ყიდვა-გაყიდვა და იჯარით გაცემა. თუმცა 1921 წელს ახალი ეკონომიკური პოლიტიკის ფარგლებში იგი კვლავ დაშვებული იქნა.

ლიზინგი თანამედროვე სახით, რუსეთისთვის და საქართველოსთვისაც ცნობილი გახდა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ წლებში, მე-20 საუკუნის 70-იანი წლებიდან კი შედარებით ფართოდ გავრცელდა.

ამ პერიოდში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში უამრავი , ძალიან წარმატებული სალიზინგო კომპანია ფუნქციონირებდა. აშშ-ში პირველი აქციონერული საზოგადოება 1952 წელს დაფუძნდა, ის ძირითადად სალიზინგო ოპერაციების განხორციელებით იყო პოპულარული. 1959 წელს მან ფილიალი გახსნა კანადაში, შემდეგ კი სხვა ქვეყნებში. 1999 წლის მონაცემებით აშშ-ი ოცდაცამეტი სალიზინგო კომპანია ფუნქციონირებდა, რომელთა უმრავლესობას ავტომობილების და სხვადასხვა მანქანა დანადგარების ლიზინგით იყო დაკავებული. ერთი სალიზინგო კომპანიის შემოსავალი კი მილიონ დოლარს აჭარბებდა.

ბრაზილია სამხრეთ ამერიკის სალიზინგო ბიზნესის ლიდერად ითვლება. 1990 წელს მხოლოდ სალიზინგო ოპერაციების მოცულობამ 2 მლრდს გადააჭარბა, კოლუმბიაში კი ინვესტიციების საერთო მოცულობაში ლიზინგს 32% უკავია.

რაც შეეხება ევროპის ქვეყნებს, პირველი სალიზინგო კომპანია შეიქმნა:

- საფრანგეთში - 1957 წელს,
- ქ. დიუსელდორფში - 1962 წელს,
- იტალიაში - 1962 წელს,
- შვედეთში - 1960 წელს,

ამჟამად, საფრანგეთში 60-ზე მეტი წარმატებული სალიზინგო კომპანია ფუნქციონირებს. იტალიაში კი 50 ზე მეტი მსხვილი სალიზინგო კომპანიაა. ზოგადად ევროპაში სალიზინგო კომპანიების რიცხვი 70-იან წლებში გაიზარდა,

სწორედ ამ პერიოდში 1972 წელს შეიქმნა „ევროლიზი“, სალიზინგო კომპანიების ასოციაციების ევროპის ფედერაციის საბჭო, რომელიც იცავდა სალიზინგო კომპანიების უფლებებს. 1998 წლის დასაწყისში იგი აერთიანებდა 1212 სალიზინგო კომპანიას.

ლიზინგური ოპერაციების მოცულობა ყოველწლიურად იზრდება, ყველაზე დიდი წილი გემებზე, თვითმფრინავებზე და რკინიგზის ტრანსპორტზე მოდის.

რაც შეეხება ლიზინგის სფეროში ლიდერ ქვეყნებს, აღსანიშანავია:

- გერმანია,
- დიდი ბრიტანეთი,
- იტალია,
- საფრანგეთი,
- ესპანეთი,
- ავსტრია,
- ჩეხეთი,
- აშშ და სხვა.

განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს სატვირთო ავტომანქანების ლიზინგი ჰოლანდიაში, ავსტრიაში, ნორვეგიაში, ირლანდიაში, შვედეთში, შვეიცარიაში და პოლონეთში.

ლიზინგის ხელშეკრულების ზოგად ვადასთან დაკავშირებით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ყველაზე უფრო გავრცელებულია სალიზინგო ქონების გადაცემა დროებით სარგებლობაში 2-დან 5 წლამდე ვადით. თუმცა, უკანასკნელი წლების განმავლობაში საკმაოდ აქტიურად შეიმჩნევა, სალიზინგო ქონების გადაცემა დროებით სარგებლობაში 5 წელზე მეტი ვადით.

ეს განპირობებულია, ზოგადად ეკონომიკის განვითარებით და სალიზინგო მომსახურების განვითარებადი ხასიათით. ასევე, იმით, რომ ლიზინგმიმღებთ

უძრავი ქონების დაქირავების შემდეგ სერიოზული განზრახვები აქვთ, რასაც დიდი დრო სჭირდება.

1.2ლიზინგის არსი, სახეები და ფორმები

ლიზინგის შესწავლისას ძალიან მნიშვნელოვანია მისი შინაარსობრივი და სტრუქტურული შესწავლა, რადგან ლიზინგის საკანონმდებლო რეგულირება მრავალ სფეროს მოიცავს.

ტერმინი „ლიზინგი“(“to lease”) ინგლისური წარმოშობისაა და ნიშნავს ქონების ქირით ჩაბარებასა და აღებას. სხვა ენებშიც ლიზინგი იგივე დატვირთვის მატარებელია, მაგრამ დამკვიდრდა ინგლისური ტერმინი (“ leasing”).

სამოქალაქო სამართალში ჩვენ ვხვდებით ლიზინგის როგორც ხელშეკრულების მხარეთა ურთიერთმიმართებას და უფლებამოვალეობების მოცულობასა; ამასთანავე, გასათვალისწინებელია ლიზინგის ანალიზისას საერთაშორისოდ აღიარებულ დოქტრინაში არსებული პრინციპების და ნორმების გაცნობა. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია და საყურადღებო საერთაშორისო ინსტიტუტის მიერ შემუშავებული დოკუმენტები.[5]

უნდა აღინიშნოს, 1988 წლის 28 მაისის ოტავის კონვენცია და 2008 წლის ოტავის კონვენცია. რომელთა სტანდარტების დაცვა და გათვალისწინებაც

---

[5] Kronke, Financial Leasing and its Unification by UNIDROIT – General Report, Uniform Law Review, 2011-1/2, 25.

უმნიშვნელოვანესია. მათი მეშვეობით ტრანზაქციაში ლიზინგის მონაწილე მხარეთა ინტერესების თანაბარი დაცვა მიიღწევა.[6]

ოტავას კონვენციის გათვალისწინება მნიშვნელოვანია, როგორც საერთაშორისოდ აღიარებულ ხელშეკრულებებზე, ასევე ადგილობრივად განხორციელებული ხელშეკრულებისას. კონვენციის მიზნებად ჩამოყალიბდა:

- ✓ საგნის ხარისხთან არსებული პასუხისმგებლობის მიმწოდებლისთვის სამმხრივი ურთიერთობის აღიარება;
- ✓ ლიზინგის გამცემზე დაკისრებული პასუხისმგებლობის შეზღუდვა, რომელიც წარმოადგენს მესამე პირების წინაშე;
- ✓ ლიზინგის გამცემის ქონებრივი ინტერესის დაცვა ლიზინგის მიმღების გაკოტრებისას;
- ✓ ლიზინგის გამცემის დაცვა ლიზინგის მიმღების მიერ ვალდებულების დარღვევისას.[7]

ლიზინგის არსი და როლი ეკონომიკურ თეორიაში სხვადასხვანაირად არის განმარტებული. მეცნიერთა ერთი ჯგუფი მას მიაკუთვნებს:

- ✓ სამეწარმეო საქმიანობის დაკრედიტების წესს,

მეორე ჯგუფი აკავშირებს:

- ✓ გრძელვადიან იჯარასთან, რომელიც მთლიანად წარმოადგენს დაქირავებით ურთიერთობებს,

მესამე ჯგუფი :

- ✓ ლიზინგს არენდის ნაირსახეობად მიიჩნევს,

---

[6] იხ. 1988 წლის 28 მაისის ოტავის კონვენციის პრეამბულა და 2008 წლის ოტავის კონვენცია.

[7] იხ. 1988 წლის 28 მაისის ოტავის კონვენციის პრეამბულა.

მეოთხე ჯგუფი:

- ✓ წარმოების საშუალებათა ყიდვა-გაყიდვის შენიღბულ ფორმად,

მეცნიერთა სხვა ჯგუფი:

- ✓ ლიზინგს მიიჩნევს სხვის ხარჯზე მოქმედებად, სამეწარმეო საქმიანობის ერთ-ერთ ნაირსახეობად.[8]

ლიზინგის განმარტების მრავალგვარობა, ნამდვილად მოწმობს, იმას, რომ ლიზინგთან დაკავშირებული საკითხები ჯერ კიდევ გადასაწყვეტია მეცნიერულ დონეზე. ამ ეტაპზე, ჩვენ დავეყრდნობით საქართველოს კანონში „სალიზინგო საქმიანობის ხელშეწყობის შესახებ“ არსებული ლიზინგის განმარტებას. „ლიზინგის საგნის გამცემის მიერ ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე ლიზინგის საგნის მესაკუთრესგან ან მწარმოებლისგან ლიზინგის საგნის შეძენა ლიზინგის საგნის მიმღებისათვის დროებით ფასიან სარგებლობაში გადაცემის მიზნით, მისი გამოყენების უფლებით ან ვალდებულებით“ [9].

აქედან გამომდინარე, ჩვენი აზრით ლიზინგი არ უნდა მივაკუთვნოთ არენდას, არც საქონლის განვადებით ვაჭრობას. ადგან, მიუხედავად იმისა, რომ ლიზინგიც არენდის მსგავსად, ქონების დროებით ფასიან სარგებლობაში გადაცემაა, ლიზინგს მაინც აქვს მთელი რიგი თავისებურებანი, რაც მას სხვა მსგავსი ინსტიტუტებისაგან განასხვავებს.

ლიზინგი წარმოადგენს ფინანსურ იჯარას, რა დროსაც შესაძლებელია ნივთის უკან დაბრუნება. როგორც წესი ლიზინგის გამცემი ქონების არც მომწოდებლის არჩევაზეა პასუხისმგებელი და არც მის მიერ მიცემული ქონების ვარგისიანობაზე. არენდის გამცემი ამღებს, არენდით აძლევს ასევე იმ ქონებას, რასაც ის რეალურად

---

[8] http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0002/000390/vasil%20kikutadze%2C%20disert..pdf

[9] საქართველოს კანონი “სალიზინგო საქმიანობის ხელშეკრულების შესახებ თბ. 2002 მუხლი 1. https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/16354?publication=1

ფლობს, ლიზინგის შემთხვევაში კი ლიზინგის მიმცემი ლიზინგის მიმღების შეკვეთით შეისყიდის განსაზღვრულ ქონებას და მითითებულ საფასურად გადასცემს მას გარკვეული დროით სარგებლობაში.

რაც შეეხება ლიზინგის ხელშეკრულების მსგავსებას განვადებით ნასყიდობასთან, აღსანიშნავია, რომ სალიზინგო ხელშეკრულება არ ავალდებულებს ლიზინგის მიმღებს შეისყიდოს ქონება, პირიქით მას უფლება აქვს ხელშეკრულების დასრულებისას დააბრუნოს იგი. განვადებით შესყიდვის დროს ქონება ახალ მესაკუთრეს გადაეცემა საკუთრებაში. თუმცა, აღნიშნულისდა მიუხედავად, მეცნიერთა ერთი ჯგუფი, ლიზინგსა და განვადებას აიგივებეს, რაც არასწორია.

ასევე გავმიჯნოთ დაკრედიტება და ლიზინგი ერთმანეთისგან, ლიზინგს ისევე როგორც დაკრედიტებას აქვს:

- მიზნობრიობის
- ფასიანობის და
- ვადიანობის პრინციპი, [10]

თუმცა, ლიზინგის ხელშეკრულება მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება, სალიზინგო კამპანია გარდა იმისა, რომ ქონებას გადასცემს, ლიზინგით, ასევე უწევს სერვისულ მომსახურებას, აზღვევს, ყიდულობს მომწოდებლისგან და ა.შ. აქედან გამომდინარე ლიზინგის გაიგივება სხვა სახის ხელშეკრულებებთან არასწორია. ლიზინგი სრულიად განსხვავებული და დამოუკიდებელი ეკონომიკური კატეგორიაა. [11]

---

[10] https://ihow.ge/როგორია-დაკრედიტების-პრი/

[11] http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0002/000390/vasil%20kikutadze%2C%20disert..pdf

რაც შეეხება ლიზინგის ფორმებს, არსებობს ლიზინგის სხვადასხვა ფორმა, რომელიც გამოიყენება აქტიურად. მათი კლასიფიკაცია შემდეგი ნიშნებით ხდება:[12]

- ✓ გადასახდელების ფორმის,
- ✓ სალიზინგო გარიგებაში მონაწილეთა რაოდენობის,
- ✓ სალიზინგო ქონების გამოსყიდვის ვადის,
- ✓ ამორტიზაციის პერიოდების,
- ✓ სალიზინგო ქონების გამოყენების ვადის მიხედვით.

სალზინგო გარიგების მონაწილეთა რაოდენობის მიხედვით, არსებობს:[13]

- ✓ ორმხრივი სალიზინგო გარიგებები - ამ დროს სალიზინგო ქონების მომწოდებელი და ლიზინგის გამცემი ერთი და იგივე პირია.
- ✓ მრავალმხრივი სალიზინგო გარიგებები - ამ დროს კი ქონებას ლიზინგით გასცემს არა მიმწოდებელი, არამედ ფინანსური შუამავალი, რომლის როლში გამოდის სალიზინგო კომპანია. სალიზინგო გარიგების ამ ფორმის კლასიკური ვარიანტია სამმხრივი სალიზინგო გარიგება, რომლის დროსაც მხარეებად, ანუ ლიზინგის სუბიექტებად გვევლინებიან მომწოდებელი, ლიზინგის გამცემი და ლიზინგის მიმღები.

პირდაპირი ლიზინგის სახესხვაობაა დაბრუნებითი ლიზინგი.ამ დროს ქონების მესაკუთრე მიჰყიდის ქონებას ლიზინგის გამცემს, შემდეგ კი თვითონ იღებს მისგან იგივე ქონებას ლიზინგით. გამორიცხული არ არის, მის მიერ ამ ქონების ხელმეორედ შესყიდვაც.

ირიბი ლიზინგის ერთ-ერთი სახესხავაობაა ლიზინგი დაფინანსების დამატებითი წყაროების გამოყენებით. ასეთი სალიზინგო გარიგებები ძირითადად

---

[12] Горемикин В.А. Лизинг, учебник, М., ,,Дашков и К" 2003, с.17

[13] Горемикин В.А. Лизинг, учебник, М., ,,Дашков и К" 2003, с.19

ძვირადღირებული პროექტების რეალიზაციის დროს იდება. მათ სალიზინგო ქონების ტიპის მიხედვით, არსებობს:[14]

- ✓ მოძრავი ქონების და
- ✓ უძრავი ქონების ლიზინგი

მოძრავი ქონების ლიზინგის პრაქტიკაში ამ ბოლო დროს გავრცელდა მეორადი მანქანა-მოწყობილობის და წარმოების სხვა საშუალებების ლიზინგიც. მოქმედი საწარმო, რომელსაც საკუთრებაში აქვს დანადგარები მაგრამ დროებით არ ესაჭიროება, გარკვეული ვადით გასცემს მათ, შემდეგ კი უკან იბრუნებს. ასეთი მოქმედებით საწარმო ეკონომიას აკეთებს ხარჯებშიც და დამატებით შემოსავალს იღებს სალიზინგო გადასახდელის სახით.

რაც შეეხება ლიზინგის მიმღებს ასეთ დროს იგი ინტერესდება იმით, რომ სალიზინგო ობიექტზე საკომისიო გასამრჯელო გამოიანგარიშება მისი არა საწყისი, არამედ ნარჩენი ღირებულებიდან, რაც მეტად გააიაფებს გარიგებას.

გეოგრაფიული ფაქტორების მიხედვით არსებობს:

- ✓ შიგა ლიზინგი, რომლის დროსაც ლიზინგის ყველა მონაწილე ერთი ქვეყნის წარმომადგენელია და
- ✓ გარე ანუ საერთაშორისო ლიზინგი, როდესაც ლიზინგის გამცემი და ლიზინგის მიმღები სხვადასხვა ქვეყნის რეზიდენტები არიან.

გარე ლიზინგი თავის მხრივ იყოფა:

- ✓ ექსპორტულ და
- ✓ იმპორტულ ლიზინგად.

ექსპორტული ლიზინგის დროს უცხო ქვეყნის რეზიდენტი არის ლიზინგ მიმღები, ხოლო იმპორტული ლიზინგის დროს ლიზინგ გამცემი.

---

[14] http://sabanko.com/wp-content/uploads/2015/07/20.1.-ლიზინგი.pdf

ამჟამად საქართველოს, ისევე როგორც მთელ პოსტსაბჭოთა ქვეყნებს ახასიათებს იმპორტული ლიზინგი.

სალიზინგო გადასახდელის ფორმის მიხედვით არჩევენ:[15]

- ✓ ფულადი ანაზღაურების ლიზინგს,
- ✓ კომპენსაციურ ლიზინგს
- ✓ შერეული ანაზღაურების ლიზინგს.

რომლის დროსაც ლიზინგის მიმღებს გადასახდელს უხდიან როგორც ფულით, ისე საქონლით ე.ი. შერეული წესით. ამ დროისათვის საქართველოში უმეტესწილად გავრცელებული კომპენსაციური ლიზინგია.

ლიზინგით გაცემული ქონების მომსახურების მოცულობის ნიშნის მიხედვით არსებობს:

- ✓ წმინდა ლიზინგი, რა დროსაც ლიზინგით გადაცემული ქონების მოვლა-შენახვას ეწევა ლიზინგის მიმღები. ამ შემთხვევაში ამ ქონების მომსახურების ხარჯები სალიზინგო გადასახდელში არ შედის.
- ✓ „სველი“ ლიზინგი, ამ შემთხვევაში სალიზინგო ქონების ტექნიკურ მომსახურებას, დაზღვევას და სხვა ნებისმიერ ოპერაციას ლიზინგგამცემი ახორციელებს.

სალიზინგო ქონების გამოსყიდვის ვადის, ხარისხის და ამორტიზაციის პირობების მიხედვით არსებობს:

- ✓ სრული გამოსყიდვის - სრული ამორტიზაციის ლიზინგი, რომლის დროსაც სალიზინგო კონტრაქტის ვადა ემთხვევა სალიზინგო ქონების

---

[15] ხ. ბარბაქაძე, ლიზინგი - საგადასახადო პროცესის ოპტიმიზაციის საშუალება - http://eprints.tsu.ge/1212/1/Leasing%20-%20The%20Possibility%20for%20Optimization%20of%20Tax%20Process.pdf

სამსახურის ნორმატიულ ვადას და ლიზინგ გამცემი ლიზინგ მიმღებისაგან მიღებული სალიზინგო გადასახდელით მთლიანად ინაზღაურებს ლიზინგით გაცემული ქონების ღირებულებას.

- ✓ ნაწილობრივი გამოსყიდვის ლიზინგი - ასეთ დროს სალიზინგო კონტრაქტის ვადა ნაკლებია სალიზინგო ქონების სამსახურის ნორმატიულ ვადაზე. ასეთ დროს ლიზინგის გამცემი მხოლოდ ნაწილობრივ ანაზღაურებს ხარჯებს.

სალიზინგო ქონების გამოყენების ვადა არის ერთ-ერთი ძირითადი კრიტერიუმი:

- ✓ ფინანსური და
- ✓ ოპერატიული ლიზინგის გამიჯვნისა.

ფინანსურ ლიზინგსათვის დამახასიათებელია სალიზინგო ქონების 10 წელზე მეტი ვადით გამოყენება. ეს ვადა როგორც წესი ემთხვევა მისი ექსპლუატაციის ვადას და სრული ამორტიზაციის პერიოდს. ასეთ დროს სალიზინგო ლიზინგის გამცემი მთლიანად ინაზღაურებს ამ ქონების შეძენის და მისი მომსახურების ხარჯებს.

ოპერატიული ლიზინგის დროს ქონება შეისყიდება ლიზინგის გამცემის სახსრებით და ლიზინგის მიმღებს გადაეცემა მისი ექსპლუატაციის ვადაზე ნაკლები დროით. სალიზინგო გადასახდელის ჯამური სიდიდის მიხედვით არჩევენ:

- ✓ წვრილ,
- ✓ საშუალო (სტანდარტული) და
- ✓ მსხვილ ლიზინგს.

წვრილ გარიგებებში ოფისის სატელეფონო სადგურები და უსაფრთხოების სისტემები კომპიუტერები, ორგტექნიკა ხვდება. სალიზინგო კომპანიები წვრილი ლიზინგით, ნაკლებად ინტერესდებიან, ამიტომ ორიენტირება საშუალო და მსხვილ ლიზინგზე აქვთ.

ასევე განასხვავებენ ფაქტიურ და ფიქტიურ ლიზინგს. ფიქტიური ლიზინგის დროს ქონების რეალური გადაცემა არ ხდება და გარიგება შესდგება მხოლოდ იმისათვის, რომ ლიზინგური ოპერაციის მონაწილეებმა მიიღონ დასაბუთებელი ფინანსური და საგადასახადო შეღავათები. ფაქტიური ლიზინგი კი ქონების რეალურ გადაცემას ითვალისწინებს.

თავი 2. ლიზინგის ხელშეკრულებაში მონაწილე სუბიექტები და ხელშეკრულების პრინციპები

2.1 ლიზინგის ფუნქციები და ლიზინგის სუბიექტები

როგორც ზემოთ უკვე ავღნიშნეთ ლიზინგი, ყველა სხვა მსგავსი ინსტიტუტისგან სრულიად განსხვავებული კატეგორიაა. ამიტომ, ლიზინგი როგორც ეკონომიკური-სოციალურ კატეგორია, ქვეყნის ეკონომიკის ფორმირების

პროცესში მრავალ ფუნქციას ასრულებს. უნდა გამოვყოთ რამდენიმე ძირითადი ფაქტორი[16]:

- საწარმოო ფუნქცია,
- გასაღების ფუნქცია,
- საფინანსო ფუნქცია, და
- ამორტიზაციული შეღავათების ფუნქცია.

ლიზინგის ფინანსური ფუნქცია - საქონელწარმოებისთვის მატერიალურ-ნივთობრივი ფორმის გრძელვადიანი კრედიტის გაცემაში გამოიხატება, ასევე მისთვის საჭირო წარმოების საშუალების სრული ღირებულების ერთდროული გადახდისაგან განთავისუფლებით.

ლიზინგის საწარმოო ფუნქცია - საქონელმწარმოებლებს არ უხდება ძვირადღირებული მანქანების ყიდვა და ასეთი მანქანების ლიზინგის წესით დროებით სარგებლობაში მიღებით, ადვილად წყვეტს ყველა საწარმოო ტიპის ამოცანას.

ლიზინგის გასაღების ფუნქცია - მომხმარებელთა წრის გაფართოებასა და ახალი ბაზრების დაპყრობაში გამოიხატება;

საგადასახადო და საამორტიზაციო ფუნქციას - შეღავათების მიღების შემდეგი თავისებურებანი ახასიათებს: [17]

ა) ლიზინგით მიღებული ქონება შეიძლება არ აისახოს ლიზინგის მიმღების ბალანსში, რადგან მასზე საკუთრების უფლებას ლიზინგის გამცემი ფლობს;

---

[16] http://www.gccc.ge/wp-content/uploads/2016/03/Artikel-576.pdf?fbclid=IwAR1dnv_PQjxtn0fBWL7VrOIQ6TsfQ9rvIxyN1D3q446TaAJSPCkKaaxVBZk

[17] Горемикин В.А. Лизинг, учебник, М., ,,Дашков и К" 2003, с. 28.

ბ) სალიზინგო გადასახდელები ლიზინგის მიმღების მიერ წარმოებული პროდუქციის თვითღირებულებაში, რაც თავის მხრივ, ამცირებს დასაბეგრ მოგებას;

გ) დაჩქარებული ამორტიზაციის გამოყენება ამცირებს დასაბეგრ მოგებას და აჩქარებს ქონების განახლებას.

ლიზინგი არის ეკონომიკურ - სამართლებრივი ურთიერთობების კომპლექსი, სადაც ურთიერთობის საფუძველია ლიზინგის ობიექტი და ლიზინგის სუბიექტები. მათ შორის ყალიბდება სამართლებრივი, ტექნიკურ- ორგანიზაციულ და საფინანსო-კომერციული ურთიერთობა.

სალიზინგო ურთიერთობები სალიზინგო გარიგების წარმოებას გულისხმობს ლიზინგის სუბიექტებს შორის, ხოლო სალიზინგო გარიგების ობიექტი შეიძლება იყოს ნებისმიერი მოძრავი ან უძრავი ქონება, რომელიც მიეკუთვნება ძირითად საშუალებებს გარდა აკრძალული ნივთებისა და მიწის ნაკვეთებისა .[18]

ზოგადად განსხვავებულია ლიზინგის ობიექტის სპეციალური კლასიფიკაცია, თუმცა ლიზინგის ობიექტებისთვის წაყენებული მრავალი მოთხოვნიდან ერთ-ერთი და ყველაზე აუცილებელი მოთხოვნაა მათი მხოლოდ სამეწარმეო მიზნებისთვის გამოყენება. ლიზინგის ობიექტად რომელიც გარიგების დროს შეიძლება იქცეს მხოლოდ წარმოების ის საშუალებები, რომლებიც გამიზნულია პროდუქციის გამოსაშვებად.

ლიზინგის ობიექტებისათვის დამახასიათებელი მეორე აუცილებელი მოთხოვნაც, ესაა სამეწარმეო პროცესში მათი პირვანდელი ფორმის შენარჩუნება. გამონაკლისია მხოლოდ სასოფლო სამეურნეო მარცვლეული კულტურების

---

[18] ბარბაქაძე რ. ლიზინგის მნიშვნელობა საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის , ჟურნ. „ლიზინგი“ #2, 2004.

თესლები, რომლებიც მოსავლის მოყვანის გარკვეულ თავიანთ პირვანდელ ნატურალურ ფორმას, მაგრამ შემდეგ ეტაპზე კვლავ აღიდგენენ საკუთარ თავს. [19]

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ კლასიკური ლიზინგის სუბიექტები არიან:

- ლიზინგის გამცემი,
- ლიზინგის მიმღები და
- ლიზინგის ობიექტის გამყიდველი. [20]

ლიზინგის მიმღები არის იურიდიული ან ფიზიკური პირი, რომელიც სამეწარმეო საქმიანობის მიზნით იღებს წარმოების საშუალებებს ანუ ლიზნგის ობიექტს, მის გამყიდველს და ლიზინგის გამცემს შორის შეთანხმებული პირობით. ლიზინგის მიმღები ვალდებულია: [21]

1. მიიღოს ლიზინგის ობიექტი;

2. დაადასტუროს მიღებული წარმოების საშუალება წარმოების საშუალების კომლექტურობა და ნორმალური ფუნქციონირება;

3. დეფექტების აღმოჩენის შემთხვევაში აცნობოს ლიზინგის გამცემს, რომელსაც ევალება მოითხოვოს მისი გამყიდვლიდან ლიზინგის ობიექტის შეცვლა ან დეფექტების გამოსწორება.

გამყიდველი იურიდიული ან ფიზიკური პირია, რომელიც ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებით ლიზინგის გამცემზე ყიდის ქონებას, რომელიც შემდეგ, ლიზინგის ობიექტად იქცევა.

---

[19] http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0ekonomik--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&cl=CL4.1&d=HASH015eb8acb0f7cd63f351dee9.5.2.2&gt=1

[20] http://sabanko.com/wp-content/uploads/2015/07/20.1.-ლიზინგი.pdf

[21] Горемикин В.А. Лизинг, учебник, М., ,,Дашков и К" 2003, с.

ქონების გამყიდველი შესაძლოა გამონაკლის შემთხვევაში თავადვე იყოს ლიზინგის გამცემი ან ლიზინგის მიმღები. ლიზინგის გამცემი შეიძლება იყოს ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც სალიზინგო საქმიანობას ახორციელებს და რომელიც ლიზინგით გადაცემის მიზნით, ნასესხები ან საკუთარი სახსრებით ყიდულობს ქონებას, ლიზინგის მიმღებზე აღნიშნული ქონების საკუთრებაში გადაცემის ან არგადაცემის პირობით.

სალიზინგო ურთიერთობის სუბიექტები შეიძლება იყვნენ სხვა სტრუქტურებიც, კეერძოდ:[22]

- სატრასტო კომპანიები,
- სადაზღვეო კომპანიები,
- ბანკები,
- დილერები,
- ბროკერები,
- აბროკერო ფირმები,
- საბითუმო შუამავლები.

სალზინგო ოპერაციის ერთ-ერთი თავისებურება ისიცაა, რომ საფინანსო-საკრედიტო ორგანოები, შეიძლება აკრედიტებდეს სალიზინგო კომპანიას და ასევე გამოდიოდეს შუამავლად, სადაც შესაძლოა ლიზინგის გამცემი თავად იყოს.

მარტივი სალიზინგო გარიგების დროს ქონებრივი ურთიერთობის თვალსაზრისით სალიზინგო გარიგება შესდგება ქონების ყიდვა-გაყიდვის ურთიერთობისაგან და ქონების დროებით სარგებლობასთან მიმართებაში არსებული ურთიერთობისგან რთული სალიზინგო გარიგების დროს ამას ემატება სასესხო ურთიერთობა და სადაზღვევო ურთიერთობა. ლიზინგის მიმღებზე

---

[22] Горемикин В.А. Лизинг, учебник, М., ,,Дашков и К" 2003, с.

ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია სალიზინგო ვადის დამთავრების შემდეგ სალიზინგო ქონების საბოლოო მიყიდვა, მაშინ მათ შორის არსებული ქონების დროებით სარგებლობის ურთიერთობა გარდაიქმნება ყიდვა-გაყიდვის ურთიერთობად. [23]

სალიზინგო ქონების გადაცემა დამახსიათებელია სუბლიზინგისთვის, ლიზინგის მიმღებზე არა პირდაპირ ლიზინგის გამცემის მიერ, არამედ შუამავლის მეშვეობით. პრაქტიკულად ისიც ლიზინგის გამცემია, მაგრამ არა ძირითადი ლიზინგის გამცემი. სალიზინგო გადასახდელსაც ძირითადი ლიზინგგამცემი მისი მეშვეობით იღებს. ეს უკანასკნელი ძირითადი ლიზინგის გამცემისაგან იღებს სალიზინგო ქონებას და გადასცემს მას ლიზინგის მიმღებს. მეტად მოსახერხებელია სუბლიზინგის მექანიზმი გამოსაყენებლად მაშინ, როდესაც ძირითადი ლიზინგის გამცემი და ლიზინგის მიმღები მეტად დაშორებულები არიან, ტერიტორიულად ერთმანეთისგან. [24]

რაც შეეხება, სალიზინგო გადასახდელს, იგი შეიცავს ქონების ღირებულების სრულ ან ნაწილობრივ კომპენსაციას, თვით სალიზინგო მომსახურების და ლიზინგის გამცემის მიერ გაწეულ სხვა დამატებითი მომსახურების ანაზღაურებას. ქონების ლიზინგის გამცემის და ლიზინგის მიმღების დანახარჯები სხვადასხვა სიდიდისაა. ლიზინგგამცემის დანახარჯები უფრო დიდია და იგი შეიძლება შედგებოდეს :[25]

1. სალიზინგო ქონების შესყიდვის დანახარჯებისაგან;

2. ბანკიდან აღებულ სესხზე სარგებლის სიდიდისაგან;

---

[23] ნ. ლიპარტელიანი, ლიზინგი : (თეორია და პრაქტიკა), თბილისი 2006, 65

[24] ბერიშვილი ხ. ლიზინგის როლი საერთაშორისო ბიზნესის განვითარებაში, თბილისი 2015, 37

[25] ვ.კიკუტაძე. „ლიზინგი თეორია და პრაქტიკა“ თბილისი, 2008, 29.

3. ლიზინგის მიმღებისათვის დამატებითი მომსახურების გაწევისაგან;

4. სადაზღვევო ანარიცხებისაგან

5. სავალუტო კურსის ცვლილების ზარალისაგან;

6. საგადასახადო ხარჯებისაგან;

7. საერთო-სამეურნეო ხარჯებისაგან, რომელიც პირდაპირ უკავშირდება რომელიმე კონკრეტულ სალიზინგო გარიგებას, მაგრამ ლიზიგის გამცემი სწევს მათ.

ქონების ლიზინგის მიმღების ხარჯები შეიძლება შედგებოდეს: [26]

1. ლიზინგით აღებული ქონების მოვლა-შენახვის და ამორტიზაციის ხარჯებისაგან;

2. სალიზინგო გადასახდელებისაგან.

როგორც ვხედავთ, ლიზინგის გამცემს რაოდენობრივად უფრო მეტი ხარჯები აქვს, ვიდრე ქონების ლიზინგის მიმღებს. ამიტომ სავსებით შესაძლებელია, რომ ლიზინგმიმღებიდან შემოსულმა სალიზინგო გადასახდელებმა მას მთლიანად ვერ დაუფაროს ამ ქონების შესყიდვაზე და მის მომსახურებაზე გაწეული ხარჯები.

თუ ამორტიზაციის პერიოდი აჭარბებს სახელშეკრულებო პერიოდს, მაშინ ქონება საკუთრებაში რჩება ლიზინგგამცემს და აღირიცხება ნარჩენი ქონების სახით. ქონების ლიზინგის მიმღები კი მხოლოდ მაშინ უნდა დათანხმდეს ლიზინგის ხელშეკრულებას, როდესაც მოგება აჭარბებს ხარჯებს.

უკანასკნელი წლების განმვლობაში, საკმაოდ განვითარდა ლიზინგის ინსტიტუტი, თუმცა ჯერ კიდევ არსებობს პრობლემები, რასაც შემდეგ პარაგრაფებში განვიხილავთ.

---

[26] ვ.კიკუტაძე. „ლიზინგი თეორია და პრაქტიკა „ თბილისი, 2008, 31.

2.2 ლიზინგის ხელშეკრულებაში კეთილსინდისიერების პრინციპი და სამართლებრივი სტატუსი

ლიზინგის ხელშეკრულების შესწავლისას ვხვდებით არაერთ განმარტებას, იმის შესახებ, რომ მნიშვნელოვანია იყოს გათვალისწინებული კეთილსინდისიერება, რაც რა თქმა უნდა უმნიშვნელოვანესია ნებისმიერი ხელშეკრულებისათვის.

კეთილსინდისიერების პრინციპი უნდა განვიხილოთ, როგორც ნაერთი მხარეთა შორის შეთანხმებული თუ ნაგულისხმევი პირობათა ერთგვარი, ერთობლიობა. უპირველესად, მხარეთა უფლებრივი თანაფარდობის პრობლემაა გასათვალისწინებელია. ამ თვალსაზრისით ვფიქრობთ ღირებული იქნება კომპლექსურ სამართლებრივ დავაზე დასაბუთებული და ამომწურავი მსჯელობა რაც ერთი უახლესი ქართული სასამართლო გადაწყვეტილების გაცნობით არის შესაძლებელი.

ლიზინგის გამცემსა და ლიზინგის მიმღებს მოცემულ საქმეში[27] სამი სხვადასხვა ლიზიგნის ხელშეკრულება დაიდო. სალიზინგო დავალიანების რესტრუქტურიზაციის მიზნით, მოგვიანებით მხარეებს შორის ახალი ხელშეკრულება დაიდო, რითაც ზემოთ აღნიშნული სამი ხელშეკრულება გაერთიანდა და დაემატა პირობები ლიზინგის ახალი საგნების გადაცემის შესახებ. მთლიანად ლიზინგის მიმღებმა გამცემისგან მიიღო ხუთი ლიზინგის საგანი. სამი საგანი დააბრუნა, ლიზინგის მიმღებმა, ხოლო დარჩენილ ორ საგანზე მხარეებს შორის ქირავნობის ხელშეკრულება დაიდო. ამასთან,

---

[27] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 25 თებერვლის N ას-1686-1580-2012 განჩინება.

მნიშვნელოვანია, რომ ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე ქირავნობის საგნები ლიზინგის გამცემმა ლიზინგის მიმღებისგან შეიძინა. თვით დამქირავებლის მიერ ქირავნობის საგნის უპირატესი შესყიდვის უფლება მისი გამოყენების წინაპირობები ქირავნობის ხელშეკრულებით განისაზღვრა. ლიზინგის გამცემი, რომელიც მოსარჩელის პოზიციაში მყოფი იყო ითხოვდა მიუღებელი სალიზინგო დავალიანების შემოსავლის მიღებას, ისე ქირავნობის ხელშეკრულებიდან წარმოშობილი დავალიანების ხარჯების დაფარვასა და ორი მოძრავი ნივთის დაბრუნებას, რომელიც მოსარჩელის საკუთრებაში იყო. ლიზინგის გამცემის მიერ დავალიანების რესტრუქტურიზაცია, სააპელაციო პალატამ შეაფასა როგორც, ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება და მის ბათილობაზე მიუთითა. სასამართლომ რამდენიმე საკვანძო არგუმენტს დაამყარა აღნიშნული დასკვნა. სასამართლომ მხარეთა უფლებრივი თანაფარდობის პრობლემაზე იმსჯელა, რომ „სადავო სამართალურთიერთობებში არსებობდა ლიზინგის საგნების გამცემის მიერ უფლების არაკეთილსინდისიერად განხორციელება შედარებით „სუსტ“ მხარესთან მიმართებაში, რა დროსაც გამოყენებული იყო საწარმოს მძიმე მდგომარეობა და მისი დირექტორის გამოუცდელობა.“[28] სასამართლოს მსჯელობით დადგინდა ის რომ ლიზინგის გამცემმა ლიზინგის მიმღები „დაითანხმა, ხელი მოეწერა „გამაერთლიანებელ“ ხელშეკრულებასა და მის დანართებზე.“ ლიზინგის მიმღებს „უფლება წაერთვა გამხდარიყო ლიზინგის სამი საგნის მესაკუთრე და განეკარგა ისინი საკუთარი შეხედულებისამებრ, ასევე მიყიდული ნივთების ნასყიდობის საფასურის სალიზინგო ურთიერთობებიდან გამომდინარე ვალდებულებების ანგარიშში ჩათვლის ხარჯი,'' ლიზინგის გამცემის არაკეთილსინდისიერებაზე მსჯელობისას სასამართლომ მიუთითა „გამაერთიანებელი“ ხელშეკრულების ბუნდოვანებაზე

[28] http://www.gccc.ge/wp-content/uploads/2016/03/Artikel-576.pdf

და განმარტა, რომ „მისი სწორად აღქმა თვით სასამართლოსთვისაც სერიოზულ პრობლემად იქცა.“[29]

სასამართლომ განმარტა, მხარეთა შორის გაფორმებულ ნასყიდობის ხელშეკრულების შესახებ, რომ ორი მოძრავი ნივთის ნასყიდობის საფასური სრულად ფარავდა არა მხოლოდ ლიზინგის ხელშეკრულებიდან გამომდინარე სამივე მიმღების ვალდებულებებს გამცემის მიმართ, არამედ ზედმეტად გადახდილი რჩებოდა გარკვეული თანხა ლიზინგის მიმღების სახელზე. სასამართლომ შესაბამისად მიუთითა, რომ მიმღების სარგებლობაში დატოვების აუცილებლობის საკითხი ნასყიდობის საგნების ლიზინგის ან ქირავნობის ხელშეკრულების გაფორმებით შეიძლება მოგვარებულიყო. პალატის მსჯელობით, „ასეთი დარეგულირება სადავო სამართალურთიერთობისა ზუსტ შესაბამისობაში იქნებოდა კანონმდებლობით განმტკიცებულ მხარეთა სამოქლაქო თანასწორობის, სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობების მართლზომიერად და კეთილსინდისიერად განხორციელების პრინციპებთან.“ სასამართლომ ყურადღება გაამახვილა ლიზინგის გამცემის არაკეთილსინდისიერებაზე, თანხა რამდენჯერმე აღემატებოდა ხელშეკრულებით განსაზღვრული უზრუნველყოფის სადავო ურთიერთობის მიმართ მოქმედი ნორმით იმპერატიულად განსაზღვულ ოდენობას. სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა სსკ-ის მე-8 III, 115-ე და 54-ე მუხლებით და ბათილად ჩათვალა გამაერთიანებელი ხელშეკრულება. შესაბამისად, მოცემული დავა სასამართლომ მხარეთა შორის დადებული ლიზინგის სამი ხელშეკრულების საფუძველზე განიხილა.

ბ. ლიზინგის გამცემის კეთილსინდისიერება, როგორც ლიზინგის მიმღებისთვის

უპირობო ვალდებულებების დაკისრების წინაპირობა, აქ საგულისხმოა ლიზინგის როგორც გამცემის შინაარსობრივი ბუნების გაგება და მისი გაანალიზება, სამართლებრივ ჭრილში. კეთილსინდისიერების პრინციპის

---

[29] http://www.gccc.ge/wp-content/uploads/2016/03/Artikel-576.pdf

დანიშნულება ნათლად ვლინდება ლიზინგის ტრანზაქციაში მისი ე.წ. „უპირობო ვალდებულებებთან“ მიმართებით ანალიზისას.საერთაშორისო დოქტრინა ლიზინგს იცნობს ლიზინგის მიმღების უპირობო ვალდებულებების კონცეფციას. აღნიშნული ტიპის ვალდებულებები ცალკეული უფლების გამოყენებას, მნიშვნელოვნად ზღუდავს ლიზინგის მიმღების მიერ. ასეთს განეკუთვნება, ლიზინგის საზღაურის გადახდის ვალდებულებაზე უარის დაუშვებლობა გამცემის მიერ, ვალდებულების დარღვევის მიუხედავად ლიზინგის ხელშეკრულების მოშლის დაუშვებლობლობა ლიზინგის საგნის მიღების შემდეგ. თუმცა უნდა შევნიშნოთ, რომ არ უნდა დაირღვეს მხარეთა ორმხრივი ინტერესების დაცვის პრინციპი აღნიშნული ტიპის ვალდებულებების ლიზინგის მიმღებისათვის დაკისრებით.ასეთ თითოეულ ვალდებულებას შესაბამისი წინაპირობები და გამონაკლისები გააჩნია. ამ თვალსაზრისით სამართლიანობის საზომად განიხილება კეთილსინდისიერების პრინციპი, რომელიც უპირობო ვალდებულებების განმსაზღვრელი პირობებს მოიაზრებს. ლიზინგის მიმღების დაცვის ფუნქციას იძენს ლიზინგის გამცემის კეთილსინდისიერების შეფასებით განსახილველი პრინციპი. განმარტებისას ცხადად უთითებენ აშშ-ს სასამართლოები არაერთ საქმეზე ლიზინგის გამცემის კეთილსინდისიერებაზე, როგორც უპირობო ვალდებულებების დაკისრებას ლიზინგის მიმღებისთვის არსებულ წინაპირობაზე. აშშ-ს სასამართლომ განმარტა, ერთ-ერთ საქმეზე[30] რომ ლიზინგის მიმღების მიერ ლიზინგის საზღაურის გადახდის უპირობო ვალდებულებაზე გავლენას არ ახდენს ლიზინგის გამცემის მხრიდან ვალდებულებების დარღვევა. თუმცა, აღნიშნული ხელშეკრულების ბათილობის მოთხოვნის საფუძვლად აქციოს რომ ლიზინგის მიმღებს შეუძლია ამტკიცოს

---

[30] Recent Cases and Legal Developments in Leasing Law, Equipment Leasing Association, Legal Association, 2005, Harte-Hanks Direct Marketing/Baltimore, Inc. v. Varilease Technology Finance Group, Inc., 299 F.Supp.2d 505 (D. Md. 2004),

ლიზინგის გამცემის არაკეთილსინდისიერება.[31] ლიზინგის საგნის ფასის გადახდა წარმოადგენს, ლიზინგის გამცემის კეთილსინდისიერების გამსაზღვრელ ერთ-ერთ ფაქტორს. აშშ-ს სასამართლომ ყურადღეება ერთ-ერთი დავის[32] განხილვისას გაამახვილა იმ გარმოებაზე, რომ მიმწოდებლისთვის ლიზინგის გამცემს ლიზინგის საგნის ფასი არ ჰქონდა გადახდილი, ლიზინგის მიმღების მიერ ქონების მიღების შემდეგაც. სასამართლომ შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში უპირობო ვალდებულება ლიზინგის მიმღების ლიზინგის გამცემის საწინააღმდეგოდ განმარტა და არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენაში ამხილა ეს უკანასკნელი. აშშ-ს სასამართლომ განმარტების მიხედვით ერთ-ერთ სხვა საქმეში[33], მოთხოვნა ექნებოდა იმ შემთხვევაში, თუ ლიზინგის გამცემს ლიზინგის მიმღების მიმართ თუ საგნის მიღებამდე ლიზინგის საგნის ფასს გადაუხდიდა მიმწოდებელს. ისეთ შემთხვევაშიც საწინააღმდეგოდ განიმარტა ლიზინგის მიმღების უპირობო ვალდებულებები ლიზინგის გამცემისათვის,[34] როდესაც ლიზინგის მიმღების მიერ ლიზინგის ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე შეტყობინების შემდეგ მონაცემების მიმღებისთვის გაგზავნა, ლიზინგის გამცემმა დააგვიანა ლიზინგის საგნის დაბრუნებისთვის საჭირო მონაცემების შეტყობინება.

სამართლებრივი სტატუსიც განიხილება ლიზინგის ხელშეკრულების ერთ-ერთ განმსაზღვრელ კრიტერიუმად. ლიზინგის მიმღების ერთმანეთისგან უნდა

---

31 http://www.gccc.ge/wp-content/uploads/2016/03/Artikel-576.pdf

32 Recent Cases and Legal Developments in Leasing Law, Equipment Leasing Association, Legal Association, 2005, Eureka Broadband Corporation v. Wentworth Leasing Corporation, 400 F.3d 62 (1st Cir. 2005), 1

33 Recent Cases and Legal Developments in Leasing Law, Equipment Leasing Association, Legal Association, 2005, Jaz, Inc. v. Foley and First Hawaiian Leasing, Inc., 85 P.3d 1099 (Hawaii Intrmed.Ct. App. 2004),

34 Recent Cases and Legal Developments in Leasing Law, Equipment Leasing Association, Legal Association, 2005, Relational Funding Corporation v. TCIM Services, Inc., 2004 WL 392875 (U.S.Dist.Ct. D. Del. February 24, 2004), 2,

გაიმიჯნოს მომხმარებლის მიერ დადებული და კომერციული[35] ტრანზაქციები.[36] უპირობო კრიტერიუმს თავისთავად ქირავნობის გამიჯვნის და მიმღების სამართლებრივი სტატუსი არ წარმოადგენს. არსის დაზუსტებისას, ლიზინგის ხელშეკრულების სამართლებრივ სტატუსსაც აფასებს სხვა განმასხვავებელ ნიშნებთან ერთად. ლიზინგის ხელშეკრულებების კლასიფიკაციის კრიტერიუმად, ლიზინგის მიმღების სამაგიეროდ მიმღების სტატუსი შეიძლება განხილულ იქნეს თავად[37] ლიზინგის ხელშეკრულების არსის განსაზღვრის ერთ-ერთი კრიტერიუმი მხარეთა უფლება-მოვალეობების მოცულობით. განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ლიზინგის მიმღების სამართლებრივი სტატუსის დადგენა. ამ თვალსაზრისით შესაბამისად, ვერ ისარგებლებს იმ უპირატესობებით, მეწარმე ლიზინგის მიმღები რაც „გამოუცდელი“ მომხმარებლისთვის არის დადგენილი.[38]ხელშეკრულების ცალკეული პირობის შეფასებისას აშშ-ს სასამართლო იღებს მომხმარებლის მხედველობაში, როგორც ინტერესს.

ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის ქცევას, სასამართლო ავლენს, რომელიც მიმართულია მეორე მხარის სისუსტის ბოროტად გამოყენებისკენ. აღნიშნული სისუსტე გამოიხატება გამოცდილებისა თუ მხარის ცოდნის შესაძლებლობების სიმცირით.[39] აშშ-ს სასამართლომ არაერთგზის განმარტა,[40] რომ გარკვევით და ერთაზროვნად უნდა იყოს ჩამოყალიბებული ლიზინგის ხელშეკრულების

---

35 Commercial/professional leasing

36 Kronke, Financial Leasing and its Unification by UNIDROIT – General Report, Uniform Law Review, 2011-1/2, 30.

37 Advanta Business Services Corp. v. Colon, 4 Misc.3d 117, 782 N.Y.S.2d 502, 54 UCC Rep.Serv.2d 254, 2004 N.Y. Slip Op. 24260 (N.Y.Sup.App.Term, Jul 14, 2004)(NO. 2002-985 QC), დოკ. 57.

38 Winthrop Resources Corp. v. Eaton Hydraulics, Inc., 361 F.3d 465 (March 11, 2004),

39 Gallardo v. TCI Cablevision Of Texas, Inc., Not Reported in S.W.3d, 2004 WL1932662 (Tex.App.-Corpus Christi, Aug 31, 2004)

40 IFC Credit Corp. v. Eastcom, Inc., Slip Copy, 2005 WL 43159 (N.D.Ill., Jan 07, 2005)(NO. 04 C 6503), დოკ. 39.

პირობები.აშშ-ს სასამართლომ ხელშეკრულება [41] განმარტა მისი შემდგენის სასარგებლოდ, რადგან ხელშეკრულების ერთ-ერთი პირობა თვალსაჩინოდ იყო გამოყოფილი მუქი ნაბეჭდით და ხაზგასმული ხელშეკრულების ტექსტში. ერთ-ერთ საქმეზე აშშ-ს სასამართლომ[42] განმარტა, რომ საერთო მიზანს ემსახურება, ისეთი წერილობითი ფორმით გაფორმებული შეთანხმებები, რომლებიც ერთი და იგივე ტრანზაქციის ნაწილებად წარმოდგება, ერთიან კონტექსტში უნდა განიმარტოს.ლიზინგის ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად განიხილება თუ ლიზინგის ხელშეკრულების რომელიმე პირობამ ასახვა არ ჰპოვა ლიზინგის ხელშეკრულებაში და ის მხარეთა მიერ ცალკე დოკუმენტით იქნა შეთანხმებული, სასამართლოს მსჯელობით, საკითხი იძენს აქტუალობას იმის მიხედვითაც, რომ ლიზინგის ხელშეკრულება ფორმდება რამდენიმე დოკუმენტის სახით:

- ლიზინგის გენერალური ხელშეკრულება
- გადახდის გრაფიკი

ერთ-ერთ საქმეზე განმარტა, აშშ-ს სასამართლომ რომ პირობა გონივრულად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ ზიანის ზუსტი ოდენობის განსაზღვრა შეუძლებელია[43] მყარად განსაზღვრული თანხა ვალდებულების დარღვევისთვის. აქ განსაზღვრულია გარკვეული თანხები კომპენსაციისათვის, ასევე სასამართლო მოცემულ საქმეზე მიუღებელ შემოსავალს ასახელებს.[44] ლიზინგის შესწავლისას, ჩვენ საფუძვლიანად შევეცადეთ გადმოგვეცა, ლიზინგის სამართლებრივი ბუნების, არსი და მისი შინაარსი, რომელიც ლიზინგის ხელშეკრულებაშია განსხეულებული, ყველა იმ სამართლებრივი ნორმის დაცვით, რასაც

---

41 Price v. Leasecomm Corporation, 2004 WL 727028 (M.D.N.C.) (March 31, 2004)

42 Price v. Leasecomm Corporation, 2004 WL 727028 (M.D.N.C.) (March 31, 2004)

43 http://www.gccc.ge/wp-content/uploads/2016/03/Artikel-576.pdf

44 Winthrop Resources Corp. v. Eaton Hydraulics, Inc., 361 F.3d 465 (March 11, 2004),

ითვალისწინებს, როგორც საერთაშორისო ისე ადგილობრივი კანონმდებლობა, შესაბამისი მუხლობრივი დაცვით. ლიზინგის ხელშეკრულება, უდავოდ მნიშვნელოვან ფუნდამენტს წარმოადგენს, ეკონომიკური საქმიანობის სფეროში მოღვაწე პირთა წრისათვის, და მისი შესწავლა უდავოდ მნიშვნელოვან კრიტერიუმად უნდა იქნეს მიღებული, რათა მაქსიმალურად იქნეს მიღებული ის სიკეთეები, რისი მიღებაც აღნიშნული სფეროდან პოტენციურად არის შესაძლებელი.

თავი 3. ლიზინგის ხელშეკრულება რეგულირება საზღვარგარეთის ქვეყნებში და საქართველოში

3.1 ლიზინგის ხელშეკრულების რეგულირების თავისებურებანი საზღვარგარეთის ქვეყნებში

ლიზინგის ხელშეკრულების სამართლებრივი რეგულირება ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია, რადგან სამართლებრივი რეგულირების გარეშე, ლიზინგის ხელშეკრულებას სერიოზულად ვერ განვიხილავთ.

ლიზინგი ბაზარზე ერთერთი ყველაზე კარგად ადაპტირებული საშუალებაა და იგი ეყრდნობა როგორც საერთაშორისო ისე ადგილობრივ სამართლებრივ ნორმებსა და რეგულაციებს.

ლიზინგის განვითარების თავისებურებებს განსაზღვრავენ სხვადასხვა ქვეყნებში სხადასხვა პირობები ამა თუ იმ ქვეყანაში შეიძლება დავყოთ 4-ჯგუფად:

1. საკანონმდებლო საფუძვლები ლიზინგის;

2. ბაზრის საფინანსო მდგომარეობა;

3. ბუღალტრული აღრიცხვის სისტემა სალიზინგო ოპერაციების;

4. სახელმწიფო რეგულირება ლიზინგის.

ასევე, შესაძლებელია კონკრეტული ქვეყნების მიკუთვნება კონკრეტული ჯგუფისათვის. მაგალითად ლიზინგის სისტემური ბაზის რეგულირების არსებობის შემთხვევაში შესაძლებელია მსოფლიოს ქვეყნების ორ ნაწილად დაყოფა, კერძოდ:

1. ქვეყნები, რომლებიც ემხრობიან ლიზინგმიმღებისათვის იურიდიული მესაკუთრის სტატუსის მინიჭებას ანუ რომანული სამართლის ქვეყნები:

    - საფრანგეთი,
    - გერმანია,
    - ბელგია,
    - შვეიცარია,
    - რუსეთი და ა.შ.
2. ქვეყნები რომლებიც ლიზინგმიმღებისათვის, ემხრობიან ეკონომიკური მესაკუთრის სტატუსის მინიჭებას, (ასეთ ქვეყნებში ლიზინგის მარეგულირებელი სპეციალური კანონმდებლობა არ აქვთ) ეს ქვეყნებია:

    - დიდი ბრიტანეთი,
    - გერმანია,
    - დანია,
    - საფრანგეთი,
    - შვედეთი .

ამ და სხვა მსგავსი სამართლის ქვეყნებში, როგორც ავღნიშნეთ არ აქვთ ლიზინგის დამარეგულირებელი სპეციალური კანონმდებლობა, თუმცა ლიზინგის ხელშეკრულების რეგულირება ხდება სამოქალაქო ან/და სავაჭრო სამართალით.

ხოლო , რაც შეეხება ჩვენს მიერ ზემოთ აღნიშნულ რომანული სამართლის ქვეყნებს იქ აუცილებელია მიეთითოს, რომ წინასწარ შეთანხმებულ ფასად სალიზინგო ხელშეკრულების გასვლის შემდეგ ლიზინგის ობიექტი შეიძლება გაიყიდოს. ანგლოსაქსური სამართლის მქონე ქვეყნები თვლიან, რომ ლიზინგის შინაარსი მხოლოდ სალიზინგო ობიექტის იჯარა იქნება, რაც გაყიდვით გამოისახება. ანგლოსაქსური სამართლის ქვეყნების სალიზინგო კანონმდებლობა ძირითადად ეფუძნება ლიზინგით გადაცემული ქონების ეკონომიკური ფლობის პრინციპს.

მიუხედავად იმისა, რომ აშშ ერთ-ერთი ლიდერია მსოფლიოში, ლიზინგის განვითარებით მის კანონმდებლობაში ტერმინი საფინანსო ლიზინგი პირველად 1986 წელს გამოჩნდა. ამ კანონის მიხედვით აშშ-ში ფინანსურ ლიზინგად მიიჩნევა ისეთი გარიგება, რომლის დროსაც:

1) მისი სასიცოცხლო ციკლის მთლიანი ვადით ლიზინგმიმღებს სარგებლობაში გადაეცემა ქონება;

2) მთლიანად გადაეცემა ლიზინგგამცემს სალიზინგო გადასახდელები

3) დაზღვევა და გადასახადების გადახდა, ლიზინგმიმღებს ევალება სალიზინგო ქონების ტექნიკური მომსახურება,

4) მთლიანად ფარავენ ლიზინგით გადაცემული ქონების თავდაპირველ ღირებულებას ერთობლივი სალიზინგო გადასახდელები და შემოსავალსაც იძლევიან ინვესტირებულ კაპიტალზე.

ამჟამად აშშ-ში მოქმედი კანონმდებლობით ფინანსურ ლიზინგად ითვლება ის გარიგება, რომელიც ხასიათდება შემდეგი ნიშნებით:

1. სალიზინგო ხელშეკრულების პერიოდი სალიზინგო ობიექტის სასიცოცხლო ციკლის არ აღემატება 80%-ს;

2) არა აქვს უფლება ლიზინგმიმღებს სალიზინგო ობიექტი გამოისყიდოს მის საბაზრო ღირებულებაზე ნაკლებ ფასში;

3. ლიზინგმიმღებმა უნდა ჩადოს ლიზინგით გაცემულ ქონებაში მისი ღირებულების არა ნაკლებ 20% ინვესტიცია;

4. ლიზინგის ვადის გასვლის შემდეგ ობიექტის ნარჩენი ღირებულება უნდა შეადგენდეს მისი საწყისი ღირებულების.

5. მთელი პერიოდის მანძილზე ლიზინგმიმღები ლიზინგის სისტემატიურად უნდა იღებდეს ფულის დადებით ნაკადებს და მოგებას.

იაპონიაში ლიზინგის კანონმდებლობა ლიზინგს იხილავს, როგორც გარიგებას, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ ორ მოთხოვნას:

1) ლიზინგის ვადა მკაცრად უნდა იყოს განსაზღვრული და სალიზინგო გადასახდელის საერთო თანხა დაახლოებით ტოლი უნდა იყოს ლიზინგგამცემის მიერ სალიზინგო ობიექტის შეძენაზე დახარჯული ერთობლივი დანახარჯებისა;
2) სალიზინგო ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის მანძილზე არ უნდა მოხდეს ხელშეკრულების ანულირება.

ანგლოსაქსური სამართლის ქვეყნებისაგან განსხვავებულია დანარჩენი კონტინენტური ევროპის ქვეყნების, ევროკავშირის კომისიის და ორგანიზაცია მიდგომა ლიზინგისადმი. მათი კანონმდებლობა აღიარებს და მხარს უჭერს ლიზინგით გადაცემული ქონების იურიდიულ ფლობას. პირველ ჯგუფი მხარს უჭერს ლიზინგის ობიექტის ეკონომიკური მესაკუთრის სტატუსის მინიჭებას, ხოლო მეორე კი იურიდიული მესაკუთრის სტატუსის მინიჭებას.

ლიზინგად სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა ურთიერთობები მიიჩნევა. მაგალითად, დიდ ბრიტანეთისა და საფრანგეთის კანონმდებლობით ლიზინგი, გერმანიის კანონმდებლობით განვადებით ვაჭრობის ნუსხაში შეიძლება მოხვდეს.

საფრანგეთის სალიზინგო კანონმდებლობა ორ ჯგუფად ყოფს ლიზინგის ხელშეკრულებებს:

- ჩვეულებრივი ხელშეკრულებები და
- ხელშეკრულებები, რომლებიც ლიზინგმიმღებს სალიზინგო ობიექტის საბოლოო გამოსყიდვის უფლებას აძლევენ. განსხვავებულია მათი სახელმწიფოებრივი რეგულირების წესებიც.

მსოფლიოში ლიზინგის განვითარების ლიდერებად აშშ და დიდი ბრიტანეთი ითვლებიან და რომელთა კანონმდებლობაც ლიზინგმიმღებისადმი ეკონომიკური მესაკუთრის მინიჭების პრინციპს აღიარებს, საბუღალტრო აღრიცხვის სტანდარტიზაციის გამოცდილებაზე დაყრდნობით საერთაშორისო კომიტეტმაც მხარი სწორედ ამ უკანასკნელს დაუჭირა.

აშშ-ს და დიდი ბრიტანეთის კანონმდებლობით სალიზინგო კონტრაქტი ხანგრძლივი ვადით იდება, რაც საშუალებას აძლევს ლიზინგის ლიზინგგამცემს გადასახდელებით ამოიღოს ლიზინგით გაცემული ქონების სრული ღირებულება.

რეოგორც უკვე ავღნიშნეთ, სალიზინგო საქმიანობის რეგულირება სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვანაირია. იმ ქვეყნებში, რომლებშიც თავდაპირველად ლიზინგი წარმოადგენდა ბანკის ფუნქციას მასზე სახელმწიფო კონტროლს ახორციელებდა ცენტრალური ბანკი. გერმანიაში და დიდ ბრიტანეთში ცენტრალური ბანკი აკონტროლებს და არეგულირებს მხოლოდ იმ სალიზინგო კომპანიების საქმიანობას, რომლებიც წარმოადგენენ ბანკების ფილიალებს. დამოუკიდებელი სალიზინგო კომპანიების რეგულირება მის კომპეტენციაში არ შედის. მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს აშშ-ში, სააფრანგეთსა და იტალიაში ლიზინგის სპეციალურ იურიდიულ პროცედურას.

სალიზინგო საქმიანობის განხორციელება რუსეთში დაიწყო 90- იანი წლებიდან. სპეციალური კანონმდებლობა, ამ დროისათვის ქვეყანაში ჯერ

კიდევ არ არსებობდა, რაც მეტად დიდი რისკის წინაშე აყენებდა, ამ საქმეში ჩართულ სამეურნეო სუბიექტებს. პრეზიდენტის ბრძანებულება „საინვესტიციო საქმიანობაში ფინანსური ლიზინგის განვითარების შესახებ“, მიღებულ იქნა, მხოლოდ 1994 წლის. ამ პერიოდიდან მოყოლებული რუსეთში მუდმივად ცდილობენ სალიზინგო კანონმდებლობის დახვეწას.

სალიზინგო საქმიანობის რეგულირების უნივერსალური წესი არ არსებობს მსოფლიოში და თითოეული ქვეყანა მას ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე არეგულირებს. ლიზინგი ამავე დროს, სცილდება ერთი ქვეყნის ფარგლებს განსაკუთრებით კი ტექნიკა-ტექნოლოგიების ლიზინგი, აღნიშნული ოპერაციები საერთაშორისო ლიზინგად იწოდება. ლიზინგგამცემია იგი თუ ლიზინგმიმღები, განურჩევლად იმისა, ამ ოპერაციებში ჩართულ თითოეულ ქვეყანას, რა თქმა უნდა აქვს საკუარი, ეროვნული კანონმდებლობა, რომელიც სრულიად შესაძლებელია, რომ შესაბამისობაში არ იყოს მეორე, ქვეყნის კანონმდებლობასთან.

სწორედ კანონმდებლობაში სხვაობის გამო შეიქმნა იმის აუცილებლობა, რომ შექმნილიყო ერთიანი დოკუმენტი, კონვენცია „საერთაშორისო ფინანსური ლიზინგის შესახებ“, მის შექმნაში მონაწილეობდა 55-ი სახელმწიფო. კონვენცია ამოქმედდა 1995 წლიდან და მისი ხელმომწერნი არიან:

- აშშ,
- ბრიტანეთი,
- საფრანგეთი,
- იტალია,
- უნგრეთი,
- ნიგერია,
- რუსეთი და
- პანამა.

კონვენციას ხელი მოაწერეს, მის ძირითად მოთხოვნებსაც დაეთანხმნენ, მაგრამ რატიფიცირება არ მოუხდენიათ შემდეგ ქვეყნებს:

- ბელგია,
- ჩეხეთი,
- განა,
- მაროკო,
- გვინეა,
- პანამა,
- ტანზანია და
- ფილიპინები.

რაც შეეხება საქართველოს ამ დრომდე არ არის აღნიშნული კონვენციის ხელმომწერი, ეს განპირობებულია იმით, რომ საქართველო ტექნიკური განვითარების დონით რამდენიმე წლით ჩამორჩება განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებს, ასევე გასათვალისწინებელია ეკონომიკური მდგომარეობა, რადგან მწირი ფინანსური რესურსებიდან გამომდინარე, საქართველოში მოქმედ იურიდიულ ან ფიზიკურ პირებს არ შეუძლიათ საზღვარგარეთ მასიურად შეისყიდონ უახლესი ტექნიკა-ტექნოლოგიები. საქართველოსთან დაკავშირებით უფრო დაწვრილებით ვისაუბრებთ შემდეგ პარაგრაფებში.

3.2 ლიზინგის ხელშეკრულებს რეგულირება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით

ლიზინგის ხელშეკრულება ვიდრე დღეს არსებული სახით დარეგულირდებოდა საქართველოს კანონმდებლობაში, მიჩნეული იყო როგორც ქირავნობის ხელშეკრულება. რაც რა თქმა უნდა მართებული არის, რადგან ლიზინგის სხვა ინსტიტუტებისაგან გამიჯვნა არსებითია.

თანამედროვე ქართულ სამართალში ლიზინგის ხელშეკრულება იდება წერილობით, წერილობითი ხელშეკრულება კი უნდა შეიცავდეს:

- მთლიან ფასს,
- სალიზინგო საზღაურის თანხასა და მისი გადახდის ვადებს;
  საბოლოო გადახდის თანხას, ხოლო ხელშეკრულების ვადამდე შესრულებისას მისი გამოთვლის წესს.

ამის გარდა, მნიშვნელოვანია, რომ ლიზინგის ხელშეკრულებად ჩაითვლება ბუღალტრული აღრიცხვის მიზნებისათვის მხარეების მიერ დადებული ხელშეკრულება, თუ იგი ითვალისწინებს ერთ-ერთ შემდეგ პირობას:

- ლიზინგის ხელშეკრულების ვადის გასვლისას მიმღები ხდება ლიზინგის საგნის მესაკუთრე ისე, რომ არ იხდის დამატებით თანხას ან იხდის უმნიშვნელო თანხას,
- ლიზინგის ხელშეკრულების ვადა უთანაბრდება ლიზინგის საგნის მომსახურების ვადას და მიმღებს უფლება არ აქვს შეწყვიტოს ლიზინგის ხელშეკრულება, საზღაურის სრულად გადახდამდე.
- ლიზინგის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის გასვლისას მიმღები ვალდებულია გააგრძელოს ლიზინგი საგნის მომსახურების სრული ვადით ან იყიდოს ლიზინგის საგანი;
- ლიზინგის ხელშეკრულებით განსაზღვრული საწყისი ვადის გასვლისას მიმღებს უფლება აქვს გადაწყვიტოს, გააგრძელებს თუ არა ლიზინგს მომსახურების დამატებითი თანხის გადახდის ან საბაზრო ფასზე მნიშვნელოვნად ნაკლები თანხის გადახდით; [45]
- ლიზინგის ხელშეკრულებით განსაზღვრული ერთი ან რამდენიმე საწყისი ვადის გასვლისას მიმღებს უფლება აქვს გადაწყვიტოს, გახდება თუ არა ლიზინგის საგნის მესაკუთრე დამატებითი თანხის გადახდის გარეშე ან

[45] https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/16354?publication=1

მესაკუთრედ გახდომის მომენტისათვის ლიზინგის საგნის საბაზრო ფასზე მნიშვნელოვნად ნაკლები თანხის გადახდით. [46]

რაც შეეხება, ლიზინგის გამცემის უფლება-მოვალეობების, შემდეგია: [47]

- გამცემს შეუძლია მესამე პირს ლიზინგის ხელშეკრულებიდან გამომდინარე გადასცეს თავისი უფლებები, ეს რა თქმმა უნდა არ ცვლის ლიზინგის ხელშეკრულების არსს და არ ათავისუფლებს გამცემს ლიზინგის ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებისაგან.
- გამცემს უფლება აქვს მიმღების მიერ ლიზინგის ხელშეკრულებით აღებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მოშალოს ლიზინგის მხელშეკრულება.
- გამცემი ვალდებულია ლიზინგის ხელშეკრულების გაუქმებამდე მის მიერ დამოწმებული წერილობითი შეტყობინება ხელშეკრულების გაუქმების თაობაზე გაუგზავნოს მიმღებს მითითებულ მისამართზე, მისი არარსებობის შემთხვევაში მიმღების ბოლო ცნობილ მისამართზე. [48]

გამცემს უფლება აქვს არ განუსაზღვროს მიმღებს ზემოხსენებული ვადა თუ აშკარაა, რომ:

- მიმღებს არ შეუძლია ვალდებულების შესრულება;
- ლიზინგის საგანს მნიშვნელოვნად დაზიანების საფრთხე ემუქრება;

ლიზინგის საგნის ადგილსამყოფელი შეიძლება შეიცვალოს გამცემის ნებართვის გარეშე.

- გამცემს უფლება აქვს ლიზინგის ხელშეკრულების მოშლისთანავე დაიბრუნოს ლიზინგის საგანი.

---

[46] http://www.gccc.ge/wp-content/uploads/2016/03/Artikel-576.pdf

[47] http://www.gccc.ge/wp-content/uploads/2016/03/Artikel-576.pdf

[48] https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/16354?publication=1

- მიმღების მიერ ლიზინგის ხელშეკრულებით აღებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში გამცემს უფლება აქვს მიმღებს მოსთხოვოს ლიზინგის საზღაურის მთლიანი თანხის გადახდა და გამცემის მფლობელობაში ლიზინგის საგნის გადასვლასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება.[49]
- საბაზრო ფასის სხვა ფაქტორებთან ერთად უნდა იყოს განსაზღვრული რათა ლიზინგით გადაცემული საგნის გაყიდვის ან საგნის განმეორებითი ლიზინგით გადაცემის ფასი და პირობები. ლიზინგის გამცემი ქირავნობის ხელშეკრულების მიხედვით მოეთხოვება პასუხი საკუთარი სასხსრებით. მიწოდების ვადის გადაცილების ანდა მიუწოდებლობისათვის, აგებს საკუთარი ქონებით პასუხს.

ლიზინგის მიმღების მოვალეობება და უფლება:

- გამცემის წერილობითი თანხმობით, მიმღებს შეუძლია ხელშეკრულების გათვალისწინებით გადასცეს მიმღებს თავისი უფლებები და მოვალეობები.
- მიმღების მიერ ლიზინგის საგნის პასუხისმგებლობა ლიზინგის საგნის დაზიანებაზე ან დაღუპვაზე გადადის მიმღებზე.
- ნასყიდობის ხელშეკრულებაში თუ მიმღების თანხმობის გარეშე ცვლილები არის შეტანილი და მიმღებს მიადგა ზიანი ან ნასყიდობის ხელშეკრულება მხარეების მიერ ბათილად ცნობილი იქნა, უფლება აქვს მიმღებს ზიანის ანაზღაურება მოითხოვოს.
- სარჩელი შეუძლია სასამართლოში შეიტანოს მიმღებს იმ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისთვის, რაც მიადგა გამცემის მიერ საქართველოს კანონმდებლობისა და ლიზინგის ხელშეკრულების პირობების დარღვევით

[49] https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/16354?publication=1

ლიზინგის საგნის დაბრუნებისას. მიმღებს არა აქვს უფლება მოითხოვოს თავის მფლობელობაში ლიზინგის საგნის აღდგენა.[50]

ლიზინგის საგნის გამყიდველის მიმართ ლიზინგის მიმღებს აქვს შემდეგი უფლებები:

- ვალდებულებები ლიზინგის საგნის გამყიდველის მიერ განსაზღვრულია გამცემსა და ლიზინგის საგნის გამყიდველს შორის არსებული ნასყიდობის ხელშეკრულებით, გამყიდველის მიერ გამცემისათვის გაღებული ყველა ტიპის გარანტია სრულდება მიმღების სასარგებლოდ, ისე რომ მიმღები იყოს, ნასყიდობის ხელშეკრულების მხარე.
- დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ასლი გადაეცემა, ლიზინგის საგნის მყიდველს. მანამ, სანამ მიმღები ვალდებული გახდება ლიზინგის ხელშეკრულებით, განსაზღვრულ ვალდებულებებსა და გარანტიებს ლიზინგის მიმღებს.
- მოთხოვნის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება სალიზინგო ქონების დარჩენილი ღირებულება, სალიზინგო საზღაურის დარჩენილი პროცენტები და სხვა დაზოგილი ხარჯები.[51]

ხელშეკრულების მიზანსა და წესს, მხარეები წინასწარ განსაზღვრავენ ლიზინგის ხელშეკრულებითვე.[52]

რაც შეეხება, ხელშეკრულების ვადამდე შეჩერებას ლიზინგის მიმღების ბრალით, აღსანიშნავია, რომ ლიზინგის გამცემს არ შეუძლია წაუყენოს მას ისეთი მოთხოვნები, რაც სცილდება მის ინტერესებს შესრულებასთან დაკავშირებულს. სალიზინგო ქონების დარჩენილი ღირებულება, მოთხოვნის განსაზღვრისას

---

[50] https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/16354?publication=1

[51] https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/16354?publication=1

[52] http://www.gccc.ge/wp-content/uploads/2016/03/Artikel-576.pdf

მხედველობაში მიიღება, დარჩენილი პროცენტები და სხვა დაზოგილი ხარჯები. ლიზინგის ხელშეკრულებით არის განსაზღვრული თუ როგორი გადახდის წესი უნდა იქნეს, ასევე საზღაურის მოცულობა და განისაზვრება რა პერიოდულობის შემთხვევაში უნდა მოხდეს. იმ შემთხვევაში, თუ გამცემი და მიმღები ახორციელებენ ანგარიშსწორებას პროდუქციის მეშვეობით, პროდუქციის ფასი განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით.[53]

აღსანიშნავია, რომ კრედიტორებს არა აქვთ იმაზე მეტი უფლება ლიზინგის გამცემის გაკოტრების შემთხვევაში ლიზინგის საგანზე, ვიდრე გამცემს ექნებოდა ლიზინგის ხელშეკრულებით.

ორი ხელშეკრულებით გამოიხატება ლიზინგის სამმხრივი ტრანზაქცია ქართულ სალიზინგო პრაქტიკაში. ნასყიდობის ხელშეკრულება იდება მიმწოდებელს და ლიზინგის გამცემსა შორის. მეორე მხრივ ასევე, ფორმდება ხელშეკრულება ლიზინგის გამცემსა და მიმღებს შორის. როგორც მოსარგებლის, ლიზინგის მიმღების, ინტერესის დაცვისა მიზნით ხელს სამივე მხარე აწერს, რათა მხარეთა სამმხრივი მონაწილეობის დადასტურების მიზნით ნასყიდობის ხელშეკრულება დადასტურდეს. ლიზინგის ხელშეკრულება რამდენიმე დოკუმენტის სახით წარმოდგება და განმარტების მიზნებისათვის ერთიან ხელშეკრულებად განიხილება.[54]

მნიშვნელოვანია ლიზინგის ხელშერულების დროს მნიშვნელოვანია სტანდარტული და არსებითი პირობების გამიჯვნა. ლიზინგის ხელშეკრულებაში სტანდარტულ პირობებს მიეკუთვნება:

- ლიზინგის მთლიანი ფასი;

---

[53]http://eprints.iliauni.edu.ge/376/1/Book%20%20Introduction%20in%20Private%20Law%20II%20final%20version.pdf

[54] Wells Fargo Bank Minnesota v. CD Video, Inc., 6 Misc.3d 1003(A), 2004 WL 3029875 (N.Y.Sup.) (June 30, 2004) (unpublished opinion), 49.

- ლიზინგის ხელშეკრულების მოქმედების ვადა;
- საგნის რეკვიზიტები;
- გადახდის დასრულების ვადა;
- გადახდის დაწყების დრო;
- ვალდებულების უზრუნველყოფის თანხა;
- ლიზინგის საგანზე საკუთრების უფლების გადასვლა და მისი წინაპირობები, ვალდებულების უზრუნველყოფის დაბრუნების თარიღი;
- სევე მითითება დამატებით საზღაურზე, სხვა ტიპის გადასახადების გადახდის ვალდებულების შესახებ;
- ვადაზე ადრე ლიზინგის საგნის გამოსყიდვის პირობები და წინაპირობები; მითითება ლიზინგის საგნის ნაწილის გამოსყიდვის შესახებ;
- ლიზინგის საგნის დაზიანებისა და დაღუპვის რისკის ადრესატის განსაზღვრა და სხვ.[55]

ერთ-ერთ აუცილებელ პირობას ლიზინგის ხელშეკრულებისას, დავის გადაწყვეტის მექანიზმის განმსაზღვრელი პირობა წარმოადგენს.[56] აუცილებელია ლიზინგის ტრანზაქციაში ლიზინგის საგნის განსაზღვრა. მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მხარეთა უფლება-მოვალეობების შინაარსზე ლიზინგის საგნის თავისებურება.

მაგალითად, ლიზინგის საგნის მიწოდების საკითხი ერთ-ერთ დავაზე[57] გადამწყვეტი მნიშვნელობა საგნის სამართლებრივ ბუნებას მიენიჭა. მხარის განმარტებით, ცალ-ცალკე აღებული, ლიზინგის ხელშეკრულებით მისაწოდებელი საქონელი „წარმოადგენს ისეთ მოძრავ ნივთებს, რომლებიც არ

---

55 http://www.gccc.ge/wp-content/uploads/2016/03/Artikel-576.pdf

56 Recent Cases and Legal Developments in Leasing Law, Equipment Leasing Association, Legal Association, 2005, IFC Credit Corp. v. Eastcom, Inc., Slip Copy, 2005 WL 43159 (N.D.Ill., Jan 07, 2005)(NO. 04 C 6503), 39,

57 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2002 წლის 8 ნოემბრის N 3კ-771-02 განჩინება.

არიან ერთმანეთის შემადგენელი ნაწილები, მაგრამ განკუთვნილია ერთმანეთის სამსახურისთვის და დაკავშირებულია საერთო სამეურნეო აღნიშნულის გათვალისწინებით, „ლიზინგის ქონების არასრული გადაცემა ლიზინგის მიმღებისათვის განპირობებული იქნა ლიზინგის გამცემის მიერ ხელშეკრულების ვადამდე მართლზომიერი შეწყვეტით.“[58]

ლიზინგის საგანი შეიძლება იყოს როგორც მოძრავი, ისე უძრავი ქონება.[59] სამოქალაქო კოდექსის თვალსაზრისით ლიზინგის მომწესრიგებელ ნორმებს არ განუცდიათ ცვლილება.[60] სამართლებრივი ბუნების განსაზღვრისას რაც ლიზინგის საგნის ბუნებაში წვდომისათვის შესაძლოა მრავალმხრივ გამოგვადგეს, უნდა ითქვას, რომ მნიშვნელოვანია, საგადასახადო კანონმდებლობით და სამოქალაქო კოდექსით,[61] დაწესებული შეზღუდვების გათვალისწინება.

არსებით პირობას არ წარმოადგენს ლიზინგის საგნის შესყიდვა,[62] როგორც წესი, საკუთრების უფლება ლიზინგის საგანზე ხელშეკრულების ვადის ამოწურვის შედეგად დამატებითი საზღაურის გარეშე გადადის ლიზინგის მიმღებზე.

ვადაზე ადრე შესყიდვის შემთხვევაში ლიზინგის საგნის დარჩენილი ლიზინგის საზღაური ექვემდებარება შემცირებას. თანხა უბრუნდება უზრუნველყოფის მიმღებს სარგებელთან ერთად დარიცხული სახით ანდა ექვითება მიმღებს გადასახდელ საზღაურში.

---

58 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2002 წლის 8 ნოემბრის N 3კ-771-02 განჩინება.

59 საქართველოს კანონი „საჯარო რეესტრის შესახებ,“ მუხლი 11 I „ი“; შდრ. მუხლი 16 I „ბ“

60 ძლიერიშვილი, ლიზინგის სამართლებრივი რეგულირება, ქართული სამართლის მიმოხილვა, 5/2002-4, გვ. 510.

61 საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით, ლიზინგის საგანია ამორტიზაციას დაქვემდებარებული აქტივი. იხ. მუხლი მე-8 38.

62 ძლიერიშვილი, ლიზინგის სამართლებრივი რეგულირება, ქართული სამართლის მიმოხილვა, 5/2002-4, 510

როგორ შეიძლება იქნეს გამოყენებული უზრუნველყოფის საშუალებები:

უზრუნველყოფის საშუალების გამოყენებასთან დაკავშირებით ლიზინგის მიმღების მიერ საინტერესოა გადაწყვეტილება,[63] რომელშიც სასამართლო ვალის პატიებაზეა მსჯელობა. კრედიტორმა ერთერთი სოლიდარული თავდებისგან მიიღო მისი წილი ვალდებულების ტოლფასი სხვა შესრულება და მორიგების ფარგლებში ერთ-ერთი სოლიდარული თავდების მიმართ მოთხოვნაზე უარი განაცხადა. საქმის პირველი ინსტანციით წესით განხილვისას ლიზინგის გამცემმა სოლიდარული თავდების მიმართ აღძრულ სარჩელზე განაცხადა უარი იმ საფუძვლით, რომ ნაცვლად სადავო ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესრულებისა, კრედიტორმა თავდებისგან მიიღო სოლიდარული წილი, ვალდებულების შესრულებაზე და მოთხოვნაზე უარი განაცხადა. აღნიშნული ვალის პატიებად ჩათვალა სააპელაციო პალატამ, ხოლო საკასაციო პალატის განმარტებით, „ვალის პატიება, რასაც შედეგად შეიძლება ვალდებულების შეწყვეტა მოჰყვეს, თავის მხრივ, წარმოადგენს ორმხრივ გარიგებას, სადაც გარკვევით უნდა აისახოს მხარეთა ნება, მიმართული ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტისკენ.“[64]

„ლიზინგის საგნის სარგებლობაში გადაცემა გულისხმობს მის გამოყენებას უშუალოდ ლიზინგის მიმღების მიერ.“[65] მაგრამ, არსებობს ამ წესიდან გამონაკლისი, როდესაც ლიზინგის მიმღები ლიზინგის გამცემთან შეთანხმებით მესამე პირს სარგებლობისთვის ლიზინგის საგანს გადასცემს.

ქველიზინგის ხელშეკრულებით ლიზინგის მიმღები მესამე პირთან ურთიერთობაში ლიზინგის გამცემად, მესამე პირი კი - ლიზინგის მიმღებად

---

63 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 1 ნოემბრის N ას-1087-1018-2012 განჩინება.

64 http://www.gccc.ge/wp-content/uploads/2016/03/Artikel-448.pdf

65 http://www.gccc.ge/wp-content/uploads/2016/03/Artikel-576.pdf

წარმოდგება.[66] მნიშვნელოვანია ლიზინგის მიმღების პასუხისმგებლობის განსაზღვრა ქველიზინგის ტრანზაქციის განხილვისას, მესამე პირის მიერ გამოწვეული ზიანისთვის.

ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა შემდეგი სასამართლო გადაწყვეტილება.[67] მესამე პირს ლიზინგის მიმღებმა ლიზინგის საგანი შემდგომი მიზნობრივი ექსპლუატაციისთვის გადასცა, მხარეთა შორის დაიდო ხელშეკრულება ხე-ტყის დამზადება რეალიზაციის შესახებ. ნივთის მფლობელს შეკვეთის საფუძველზე უნდა შეესრულებინა ხე-ტყის დამზადება რეალიზაციის სამუშაოები. მას ასევე ევალებოდა მიზნობრივი გამოყენება და ნივთის გამართულ მდგომარეობაში ყოფნა. ნაკისრი ვალდებულება არ იქნა შესრულებული მხარეთა მიერ, მიღებული თანხის გამცემისთვის წარმოებული პროდუქციის რეალიზაციიდან გადახდის თაობაზე. ამის გარდა, ჰქონდა ადგილი სარგებლობაში გადაცემული ნივთის ქურდობას: დაიკარგა ხის კამერების სამართავი პულტი, რომლის გარეშეც ნივთს აღარ გააჩნდა თვისებრივი დანიშნულება.[68]

შემცირდა ნივთის მატერიალური ღირებულება. ლიზინგის გამცემის წინაშე, ლიზინგის მიმღებმა ვერ შეასრულა ვალდებულება, რის შედეგადაც მას საქალაქო სასამართლომ დავალიანების გადახდა დააკისრა.

მხარეთა შორის წინასწარ უნდა დაზუსტდეს ლიზინგის საგნის „შემდგომი“ გადაცემის წესი და ხელშეკრულებით უნდა იქნას დეტალურად მოწესრიგებული. უნდა განისაზღვროს ლიზინგის მიმღების უფლებამოსილების ფარგლები, ლიზინგის საგნის მესამე პირისთვის გადაცემის ფორმა, ლიზინგის გამცემის დაცვის გარანტიები და სხვ. ასეთი ტიპის დათქმები უზრუნველყოფს დავის წარმოშობის პრევენციას.

---

66 http://www.gccc.ge/wp-content/uploads/2016/03/Artikel-576.pdf

67 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 5 მარტის N ას-661-967-09 განჩინება.

68 http://www.gccc.ge/wp-content/uploads/2016/03/Artikel-576.pdf

3.3 სალიზინგო საქმიანობის ხელშეწყობის შესახებ საქართველოს კანონის მიმოხილვა

საქართველოში სალიზინგო საქმიანობის ხელშეწყობის შესახებ კანონი 2002 წელს იქნა მიღებული. რომლის მიხედვითაც სალიზინგო ურთიერთობების სუბიექტებად დასახელებული არიან:

- ლიზინგის საგნის გამცემი,
- ლიზინგის საგნის მიმღები და
- ლიზინგის საგნის გამყიდველი.

ამავე კანონის მეორე თავი კონკრეტულად ეხება „ლიზინგის ხელშეკრულება“-ს , სადაც აღნიშნულია, რომ ხელშეკრულება ლიზინგის ხელშეკრულებად ჩაითვლება რამოდენიმე ზემოთ ჩამოთვლილი პირობიდან ერთ-ერთის დაცვის შემთხვევაში. ამ პირობებში შედის :

1. ლიზინგის ხელშეკრულების ვადის გასვლისას ლიზინგმიმღები ხდება ლიზინგის საგნის მესაკუთრე ისე, რომ არ იხდის დამატებით თანხას ან ეს თანხა უმნიშვნელოა;

2. ლიზინგის ხელშეკრულების ვადა არსებითად უთანაბრდება ან მეტია ლიზინგის

საგნის ეკონომიკური მომსახურების ვადაზე და მიმღები ხდება ლიზინგის საგნის მესაკუთრე უმნიშვნელო თანხის გადახდით;

3.ლიზინგის ხელშეკრულების ვადა არსებითად უთანაბრდება ან მეტია ლიზინგის საგნის ეკონომიკური მომსახურების ვადაზე და მიმღებს არ აქვს

უფლება შეწყვიტოს ლიზინგის ხელშეკრულება სულ ცოტა ლიზინგის საზღაურის გადახდის გარეშე და ა.შ. [69]

კანონის მეოთხე მუხლია „ქველიზინგის ხელშეკრულება“, რომელიც შემდეგნაირად არის განმარტებული: „ქველიზინგის ხელშეკრულება წარმოადგენს ლიზინგის ფორმის ხელშეკრულებას, რომლის საფუძველზედაც მიმღები ლიზინგის საგანს გადასცემს მესამე პირს.“[70]

რაც შეეხება, ლიზინგის ხელშეკრულების რეგისტრაციას, აღნიშნულია, რომ „გამცემს შეუძლია ლიზინგის ხელშეკრულება რეგისტრაციაში გაატაროს შესაბამის საჯარო რეესტრში. ხოლო თუ ლიზინგის ხელშეკრულება არ არის რეგისტრირებული შესაბამის საჯარო რეესტრში, ეს გარემოება არ წარმოადგენს მისი ბათილად ცნობის საფუძველს.“[71]

კანონის მეექვსე თავი გაკოტრება, აღნიშნულია, რომ ლიზინგმიმღების გაკოტრების შემთხვევაში ლიზინგის საგანი არ წარმოადგენს გაკოტრების მასის ნაწილს, მაგრამ მითითებული უნდა იყოს, რომ ლიზინგის საგანი არ ხვდება გაკოტრების მასაში მხოლოდ სალიზინგო ხელშეკრულების პერიოდში, თუ ლიზინგმიმღებმა იგი შეისყიდა, მისი გასვლის შემდეგ კი მაშინ ლიზინგის ობიექტი ხდება მისი საკუთრება, ანუ მისი ქონების ნაწილი და შესაბამისად ხვდება კიდეც გაკოტრების მასაში.[72]

ვფიქრობ, რომ აღნიშნული კანონი მნიშვნელოვან ცვლილებებს საჭიროებს.

რაც შეეხება სალიზინგო კომპანიებს, მეტნაკლები წარმატებით მხოლოდ ოთხი სალიზინგო კომპანია ფუნქციონირებს და მათ მსხვილი საფინანსო ინსტიტუტები

---

69 https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/16354?publication=1

70 https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/16354?publication=1

71 https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/16354?publication=1

72 https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/16354?publication=1

უმაგრებენ ზურგს. უმეტესწილად ფირმები ოპერატიულ ლიზინგს იყენებენ და ისიც არა ოფიციალურად გაფორმებულს, არამედ არაოფიციალურს, გარკვეულ ნდობაზე დამყარებულს.

გვაქვს ისეთი უნიკალური მაგალითები, როდესაც მცირე და საშუალო სიდიდის ფირმები ერთმანეთისაგან ქირაობენ ტექნიკას, ქირის გადახდით. ეს ფაქტორი განპირობებულია ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონით და რიგ შემთხვევაში კულტურული ფაქტორებით. ხოლო ზოგჯერ ზოგიერთი ფირმა ერთმანეთს უცვლიან ტექნიკას და ქირის ურთიერთჩათვლას ახდენენ. ეს ხდება ნაცნობობისა და სიტყვიერი შეთანხმების საფუძველზე. ასეთი შეთანხმების დიდი რისკის მიუხედავად ფირმები მაინც არჩევენ ასე მოიქცნენ, ვიდრე ოფიციალურად, სამართლებრივად მოაწესრიგონ ეს ურთიერთობები.

დასკვნა

როგორც ავღნიშნეთ ლიზინგის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით და ასევე საქართველოს კანონით სალიზინგო საქმიანობის ხელშეწყობის შესახებ.

ვფიქრობ, რომ სამოქალაქო კოდექსში არსებული ლიზინგის დამარეგულირებელი ნორმები, ბუნდოვანია, მაგალითად აღსანიშნავია, 576-ე მუხლი, რომელიც დასათაურებულია, როგორც „ცნება“, თუმცა მუხლში მხოლოდ ლიზინგგამცემისა და ლიზინგმიმღების ვალდებულებებია აღწერილი. მით უმეტეს, რომ ვალდებულებებზე სხვა ნორმებშიც არის გამახვილებული ყურადღება.

ასევე აღსანიშნავია, საქართველოს კანონი სალიზინგო საქმიანობის ხელშეწყობის შესახებ, სადაც მხარეებად დასახელებულნი არიან „ლიზინგის საგნის მიმცემი“ და „ლიზინგის საგნის მიმღები“, ამასთან დაკავშირებით ვფიქრობთ, რომ უკეთესი იქნება თუ მხარეებს ვუწოდებთ ლიზინგგამცემს და ლიზინგმიმღებს. რადგან აღნიშნული ტერმინები უფრო კარგად აღწერენ შინაარსს და უფრო ლაკონურიაა.

ამავე კანონში, განსაზღვრულია, რომ „ხელშეკრულებაში აღნიშნული უნდა იყოს აგრეთვე, ამ კანონის მიხედვით პირობათაგან ერთ-ერთის აღნიშვნის გარდა რა შემთხვევაში ითვლება ლიზინგის საგანი მიღებულად და ლიზინგის საგნის მიღების ვადა.“ ეს რა თქმა უნდა აუცილებელია, მაგრამ გარდა ამისა ვფიქტობთ, რომ აუცილებელია ხელშეკრულების საგნის მიწოდების და მიღების პირობების ცალკე აღნიშვნა, სალიზინგო ქონების გამოყენების წესი, ფორსმაჟორი პირობები, დაზღვევა და სხვა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბარბაქაძე ხ. „ლიზინგი - საგადასახადო პროცესის ოპტიმიზაციის საშუალება“. თბ.2017
2. ბარბაქაძე რ. ლიზინგის მნიშვნელობა საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის , ჟურნ. „ლიზინგი“ #2, 2004.
3. ბერიშვილი ხ. ლიზინგის როლი საერთაშორისო ბიზნესის განვითარებაში, თბილისი 2015, 37
4. კიკუტაძე. ვ. „ლიზინგი თეორია და პრაქტიკა“ თბილისი, 2008, 29.
5. ლიპარტელიანი, ნ. ლიზინგი : (თეორია და პრაქტიკა), თბილისი 2006, 65
6. ნადარეიშვილი, გ. სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია. თბილისი: გამომცემლობა “ბონა კაუზა”.2000.
7. ძლიერიშვილი, ლიზინგის სამართლებრივი რეგულირება, ქართული სამართლის მიმოხილვა, 5/2002-4.

ნორმატიული მასალა და სასამარრთლო გადაწყვეტილებები

1. საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსი.
2. საქართველოს კანონი “სალიზინგო საქმიანობის ხელშეკრულების შესახებ.
3. 1988 წლის 28 მაისის ოტავის კონვენციის პრეამბულა და 2008 წლის ოტავის კონვენცია.
4. საქართველოს კანონი „საჯარო რეესტრის შესახებ,“
5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2002 წლის 8 ნოემბრის N 3კ-771-02 განჩინება.

6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2002 წლის 8 ნოემბრის N 3კ-771-02 განჩინება.
7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 1 ნოემბრის N ას-1087-1018-2012 განჩინება.
8. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 25 თებერვლის N ას-1686-1580-2012 განჩინება.
9. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 5 მარტის N ას-661-967-09 განჩინება.

უცხოენოვანი ლიტერატურა

1. Advanta Business Services Corp. v. Colon, 4 Misc.3d 117, 782 N.Y.S.2d 502, 54 UCC Rep.Serv.2d 254, 2004 N.Y. Slip Op. 24260 (N.Y.Sup.App.Term, Jul 14, 2004)(NO. 2002-985 QC), დოკ. 57.
2. Gallardo v. TCI Cablevision Of Texas, Inc., Not Reported in S.W.3d, 2004 WL1932662 (Tex.App.-Corpus Christi, Aug 31, 2004)
3. Kronke, Financial Leasing and its Unification by UNIDROIT – General Report, Uniform Law Review, 2011-1/2, 25.
4. Price v. Leasecomm Corporation, 2004 WL 727028 (M.D.N.C.) (March 31, 2004)
5. Recent Cases and Legal Developments in Leasing Law, Equipment Leasing Association, Legal Association, 2005, IFC Credit Corp. v. Eastcom, Inc., Slip Copy, 2005 WL 43159 (N.D.Ill., Jan 07, 2005)(NO. 04 C 6503), 39,
6. Recent Cases and Legal Developments in Leasing Law, Equipment Leasing Association, Legal Association, 2005, Harte-Hanks Direct Marketing/Baltimore, Inc. v. Varilease Technology Finance Group, Inc., 299 F.Supp.2d 505 (D. Md. 2004)

7. Recent Cases and Legal Developments in Leasing Law, Equipment Leasing Association, Legal Association, 2005, Eureka Broadband Corporation v. Wentworth Leasing Corporation, 400 F.3d 62 (1st Cir. 2005), 1
8. Recent Cases and Legal Developments in Leasing Law, Equipment Leasing Association, Legal Association, 2005, Jaz, Inc. v. Foley and First Hawaiian Leasing, Inc., 85 P.3d 1099 (Hawaii Intrmed.Ct. App. 2004),
9. Recent Cases and Legal Developments in Leasing Law, Equipment Leasing Association, Legal Association, 2005, Relational Funding Corporation v. TCIM Services, Inc., 2004 WL 392875 (U.S.Dist.Ct. D. Del. February 24, 2004), 2,
10. Commercial/professional leasing Winthrop Resources Corp. v. Eaton Hydraulics, Inc., 361 F.3d 465 (March 11, 2004),
11. IFC Credit Corp. v. Eastcom, Inc., Slip Copy, 2005 WL 43159 (N.D.Ill., Jan 07, 2005)(NO. 04 C 6503), დოკ. 39.
12. Wells Fargo Bank Minnesota v. CD Video, Inc., 6 Misc.3d 1003(A), 2004 WL 3029875 (N.Y.Sup.) (June 30, 2004) (unpublished opinion), 49.
13. Балтус П., Майджер Б. Школа европейского бизнеса, ,,Лизинг-Ревю", 2001, №1, с. 23.
14. Горемикин В.А. Лизинг, учебник, М., ,,Дашков и К" 2003, с.17

ინტერნეტ რესურსი

1. http://www.gccc.ge/wp-content/uploads/2016/03/Artikel-576.pdf?fbclid=IwAR1dnv_PQjxtn0fBWL7VrOIQ6TsfQ9rvIxyN1D3q446TaAJSPCkKaaxVBZk
2. http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0ekonomik--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--11-ka-50---20-

about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&cl=CL4.1&d=HASH015eb8acb0f7cd63f351dee9.5.2.2&gt=1

3. http://sabanko.com/wp-content/uploads/2015/07/20.1.-ლიზინგი.pdf
4. http://www.gccc.ge/wp-content/uploads/2016/03/Artikel-576.pdf
5. http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0002/000390/vasil%20kikutadze%2C%20disert..pdf
6. https://ihow.ge/როგორია-დაკრედიტების-პრი/
7. http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0002/000390/vasil%20kikutadze%2C%20disert..pdf
8. http://www.gccc.ge/wp-content/uploads/2016/03/Artikel-576.pdf
9. Winthrop Resources Corp. v. Eaton Hydraulics, Inc., 361 F.3d 465 (March 11, 2004),
10. https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/16354?publication=1
11. http://www.gccc.ge/wp-content/uploads/2016/03/Artikel-576.pdf
12. https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/16354?publication=1
13. http://eprints.tsu.ge/1212/1/Leasing%20-%20The%20Possibility%20for%20Optimization%20of%20Tax%20Process.pdf
14. https://www.warwickshirerailways.com/misc/brc&wc_works.htm